



ქ. თბილისის აუნიციპალიტეტის V აონვევის სუკრეზუდოს სუქონუნოზის აუფუსეზუ



სუერტუშორისო
გუეჭვირვულოზუ
სუკრეზუდო

თბილისი, 2017

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

კვლევის ხელმძღვანელი: ლიკა საჭაია

კვლევის ავტორები: თამარ ტატანაშვილი, ბიორგი თოფურია

კვლევაში მონაწილეობდნენ: ანა აფციაური, ანა მებრძეველიძე,

მარიამ მარდალავიშვილი, ნინო საყვარელიძე

სარჩევი

შესავალი	2
ძირითადი მიზნები	2
თავი 1. ზოგადი ინფორმაცია თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესახებ	4
თავი 2. ზოგადი სტატისტიკა	7
თავი 3. მნიშვნელოვანი მოვლენები	10
თავი 4. მიღებული მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები	13
4.1 მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემა სესხის აღების შესახებ	13
4.2 მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა	14
4.3 ფიზიკური პირის ან კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის მუნიციპალიტეტის ქონების გადაცემის თაობაზე თანხმობა	17
4.4 პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების შესახებ თანხმობის მიცემა	17
4.5 სტრატეგიის დოკუმენტების დამტკიცება	17
4.6 მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცება	18
4.7 მუნიციპალიტეტის სახელით დადებულ ხელშეკრულებების დამტკიცება	18
4.8 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის განსაზღვრა	19
4.9 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნება	19
4.10 საჯარო სამართლის იურიდიული პირების დებულებათა დამტკიცება	20
4.11 იურიდიული პირების ლიკვიდაცია	20
4.12 ქონების გადასახადისა და მოსაკრებლის შემოღება	21
4.13 საკრებულოს მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებზე ზედამხედველობის განხორციელება	21
4.14 საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება	22
თავი 5. ინფორმაცია საკრებულოს წევრების შესახებ და მათი აქტივობა	22
თავი 6. კომისიების, საბჭოებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების საქმიანობა	24
6.1 საკრებულოს კომისიების საქმიანობა	24
6.2 საკრებულოს საბჭოების საქმიანობა	26
6.3 დროებითი სამუშაო ჯგუფები	28
თავი 7. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი	28
7.1 ანგარიშების მოსმენა	28
7.2 თანხმობის მიცემა თანამდებობაზე დანიშვნაზე	29
7.3 საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული პირების სხდომებზე დაბარება	30
7.4 კითხვისა და შეკითხვის უფლებამოსილების გამოყენება	35
7.5 ბიუჯეტის კონტროლი	36
7.6 მიღებულ გადაწყვეტილებათა კონტროლი	37
თავი 8. საკრებულოს თანამდებობის პირთა კავშირი ბიზნესთან, შეუთავსებელი საქმიანობა	37
კრობლემები და რეკომენდაციები	45

შესავალი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ახორციელებს თბილისის მუნიციპალიტეტის V მოწვევის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს (შემდეგში საკრებულო) საქმიანობის შეფასებას. სამ წლიანი შეფასების ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საკრებულოს საქმიანობის შემდეგი სფეროების შესახებ:

- საკრებულოს მიერ კონტროლის ფუნქციის განხორციელება
- მიღებული მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები და მნიშვნელოვანი მოვლენები
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა
- საკრებულოს წევრების, კომისიების საბჭოების მიერ განხორციელებული საქმიანობა
- საკრებულოს თანამდებობის პირთა ბიზნესთან კავშირი (არადეკლარირებული ბიზნეს აქტივები)

ანგარიშის ბოლოს შემოთავაზებულია არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით რეკომენდაციები, რომლებიც ასევე მნიშვნელოვანი იქნება ახალი, VI მოწვევის თბილისის საკრებულოს საქმიანობის პროცესში.

ანგარიში ეფუძნება საკრებულოდან გამოთხოვილ¹ და ასევე საკრებულოს ოფიციალურ ვებ გვერდზე არსებულ ინფორმაციასა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს.

ძირითადი მიზნებები

თბილისის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს საქმიანობის დადებითი ტენდენციები

თბილისის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოში ჩატარდა საკრებულოს 200 სხდომა. **კვორუმის არარსებობის გამო არ ჩაშლილა საკრებულოს არცერთი სხდომა**, მიღებულია 419 დადგენილება და 1 570 განკარგულება.

საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოები და მათი თანამდებობის პირები უმეტეს შემთხვევებში საკრებულოს მოთხოვნით ესწრებიან საკრებულოს სხდომებს, თუმცა იყო შეთხვევები, როდესაც ოპოზიციის მიერ დაბარების დროს არ ესწრებოდნენ სხდომებს. თბილისის საკრებულომ დაამტკიცა სამი მნიშვნელოვანი დოკუმენტი: **გენდერული, გარემოსდაცვითი და მარკეტინგის სტრატეგიები**;

მიუხედავად ამ დადებითი ტენდენციისა საკრებულოს საქმიანობაში გამოიკვეთა **პრობლემატური ტენდენციები**.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საკრებულოს საქმიანობის **გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დაბალი ხარისხი**. საკრებულოს საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია არათუ პროაქტიულად არ ქვენდება, არამედ ინფორმაციის გამოთხოვის გზითაც არ არის ხელმისაწვდომი. მაგალითად, საკრებულოს მიერ **მიღებული სამართლებრივი აქტების ავტორებისა და განხილვის დროს დაფიქსირებული მოსაზრებებისა თუ შენიშვნების შესახებ**. საკრებულოს წევრთა სხდომებზე სიტყვით გამოსვლის რაოდენობის და მათ მიერ ანგარიშვალდებული ორგანოების თანამდებობის პირთათვის დასმული კითხვების შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოსა და კომისიის/ფრაქციის

¹ საანგარიშო პერიოდია 2014 წლის ივლისიდან 2017 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით, თუმცა ინფორმაციის ნაწილი არის 2017 წლის 18 აგვისტოს მდგომარეობით

სხდომების **პირდაპირი ტრანსლაცია სრულად და ყველა შემთხვევაში** ხდებოდა, რაც სამოქალაქო ჩართულობისა და გამჭვირვალობის მხრივ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

გაუმჯობესებას საჭიროებს საკრებულოს მიერ საზედამხედველო ფუნქციის განხორციელება. საკრებულოს წევრები უფრო აქტიურად უნდა იყენებდნენ **ანგარიშვალდებული პირების სხდომაზე მინვების მექანიზმს** და გამოუცხადებლობის შემთხვევაში უნდა რეაგირებდნენ. თბილისის მერი საკრებულოს მოთხოვნით უნდა ცხადდებოდეს საკრებულოს სხდომაზე და წარადგენდეს ანგარიშს.

პრობლემურია საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ არასწორად შევსებული დეკლარაციები, არადეკლარირებული ბიზნეს წილები და მათ მიერ კომერციული იურიდიული პირების ხელმძღვანელის უფლებამოსილების განხორციელება.

- საკრებულოს 24 თანამდებობის პირიდან **10** თანამდებობის პირს აქვს კავშირი ბიზნესთან, რომელთაგან **3: გიორგი ტყემალაძე** (ქართული ოცნება - მრეწველები), **ლევან დარახველიძე** (ქართული ოცნება - მრეწველები) **ლია ჯახველაძე** (თბილისელები) ირიცხება სამეწარმეო იურიდიული პირის დირექტორად.

დეკლარაციის არასწორად შევსების შემთხვევები (არადეკლარირებული წილის საკუთრება):

- საკრებულოს **5** თანამდებობის პირი: **გიორგი ტყემალაძე** (ქართული ოცნება - მრეწველები), **გიორგი ახვლედიანი** (თბილისელები), **გიორგი მუსხელიშვილი** (თბილისელები), **ლია ჯახველაძე** (თბილისელები), **გულიკო ზუმბაძე** შემთხვევაში არ არის დეკლარირებული წილების საკუთრება
- საკრებულოს **2** თანამდებობის პირის: **ვლადიმერ ძნელაძე** (ქართული ოცნება-მრეწველები), **ლევან დარახველიძე** (ქართული ოცნება - მრეწველები) შემთხვევაში კი არასრულად არის დეკლარირებული წილის საკუთრება
- საკრებულოს **4** წევრის ოჯახის წევრის 5 შემთხვევაში აქვს კავშირი ბიზნესთან, რომელთაგან საკრებულოს **2** წევრის: **გიორგი ახვლედიანი** (თბილისელები), **ნუგზარ მალაღურაძე** (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის) შემთხვევაში არის მითითება თანამდებობის პირის ქონებრივ დეკლარაციაში, ხოლო საკრებულოს **2** წევრი: **ვლადიმერ ძნელაძე** (ქართული ოცნება-მრეწველები), **ავთანდილ დავითაძე** (ეროვნული ფორუმი) არ უთითებს მათ ოჯახის წევრების ბიზნესთან კავშირის შესახებ

საკრებულოს გადაწყვეტილების მიღების პროცესი, მათ შორის ქონების გადაცემასთან დაკავშირებით ხასიათდებოდა გამჭვირვალობის და დასაბუთებულობის არასათანად ხარისხით. საანგარიშო პერიოდში:

- თბილისის მთავრობას **58** შემთხვევაში მიეცა თანხმობა პირდაპირი განკარგვის წესით ან კონკურენტული შერჩევის საფუძველზე ფიზიკური პირის ან კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის ქონების გადაცემის თაობაზე
- ეკლესიისთვის (სსიპ) **საერთო ჯამში გადაცემულია 183,414.00 კვ. მ. ფართის მიწის ნაკვეთი.** საპრივატიზებო პირობა უმეტეს შემთხვევაში არის ეკლესიის აშენება და არის შემთხვევები, როდესაც ასეთ პირობას წარმოადგენს სკვერის მოწყობა და კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობა, გამწვანება და კეთილმოწყობა.

სსიპ - საქართველოს სამოციქულო აგტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას:

- უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაეცა - **28** შემთხვევაში სიმბოლურ ფასად 1 ლარად
- გაცვლის შეთანხმების საფუძველზე **1** შემთხვევაში
- მოძრავი ქონება თხოვების ფორმით გადაეცა - **1** შემთხვევაში
- მოძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაეცა **3** შემთხვევაში

V მოწვევის საკრებულოს საქმიანობის პროცესში დისკუსიის საგანი იყო:

- საკრებულოს წევრის ზურაბ ნეფარიძის **დაკავება ქრთამის აღების ფაქტთან** დაკავშირებით და მისთვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა
- გაუღერებელი **ბრალდებები** საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თევდორე კობახიძის მიმართ, რომელთან დაკავშირებითაც იმსჯელეს სხდომაზე
- საკრებულოს გადაწყვეტილება პანორამა თბილისის სასტუმროს მიმდებარედ მიწისქვეშა აგტოსადგომის ასაშენებლად მიწის ნაკვეთისათვის ფუნქციური ზონის **სტატუსის შეცვლა**

თავი 1. ზოგადი ინფორმაცია თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესახებ

თბილისის საკრებულო არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი წესით **ახორციელებს თვითმმართველობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში**, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში **კონტროლს უწევს აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობას**, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საკრებულოს რეგლამენტით მისთვის განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.


საკრებულო შედგება **50** წევრისაგან, რომელთაგან **25** წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების მიხედვით, ხოლო **25** წევრი – პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე, 10 საარჩევნო ოლქის მიხედვით.

საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, საკრებულო თავისი შეხედულებებისამებრ ქმნის კომისიას. თბილისის საკრებულოში საკრებულოს უფლებამოსილების ვადით შექმნილია შემდეგი **კომისიები**:

1. სარევიზიო კომისია (თავმჯდომარე ნუგზარ მაღალურაძე, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“)
2. იურიდიულ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე თევდორე კობახიძე, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“)
3. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“)
4. განათლებისა და კულტურის კომისია (თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“)
5. ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია (თავმჯდომარე გორბაბუნაშვილი, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“)

6. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისია (თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე)
7. გარემოს დაცვის კომისია (თავმჯდომარე შორენა ბუხრაშვილი, „ეროვნული ფორუმი“)
8. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია (თავმჯდომარე ლია ჭახველაძე, „თბილისელები“)
9. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია (თავმჯდომარე ქეთევან ჭოხაძე, „ქართული ოცნება – კონსერვატორები“)
10. ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია (თავმჯდომარე ლევან დარახველიძე, „ქართული ოცნება - მრეწველები“)
11. ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე ჯაბა სამუშია, „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოსთვის“)

საკრებულოში არის **9 ფრაქცია**:²



² 2017 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, წყარო: თბილისის საკრებულოს ოფიციალური ვებ გვერდი. უნდა აღინიშნოს, რომ ფრაქციების შემადგენლობამ არაერთხელ შეიცვალა 3 წლის განმავლობაში, რასთან დაკავშირებითაც დაზუსტებული ინფორმაცია საკრებულოს არ მოუწოდებია.

ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ წევრები: რამინა ბერაძე, თამარ ტალიაშვილი, გიორგი ალიბეგაშვილი, მალხაზ მჭედლიშვილი, თევდორე კობახიძე, ნუგზარ მაღალურაძე, ჯაბა სამუშია, ირაკლი ფავლენიშვილი, გონა ბაბუნაშვილი, ია მაკასარაშვილი, ჯაბა ჭიშკარიანი, ზაქარია კოლეღიშვილი, თარაშ შურღია, დავით ქელიძე, მურთაზ შელია, ბესიკ ქარცივაძე, ზურაბ ქადაგიძე, გულია გოცირიძე, ბორია ფირცხელიანი.

ფრაქციის „რესპუბლიკელები“ წევრები: ხათუნა სამნიძე, დავით ზურაბიშვილი, ტრისტან ჭინჭარაძე

ფრაქციის „ეროვნული ფორუმი“ წევრები: ავთანდილ დავითაძე, შორენა ბუხრაშვილი, გივი გოგლიძე, ზურაბ ნეფარიძე (სტატუსი შეჩერებულია)

ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ წევრები: დავით უთმელიძე, ქეთევან ჯოხაძე, ქეთევან მამულაშვილი

ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები“ წევრები: ვლადიმერ ძნელაძე, გიორგი ტყემალაძე, ლევან დარახველიძე, იოსებ მანჯავიძე, მანუჩარ მარაიძე.

ფრაქციის „დედაქალაქი“ წევრები: ზაზა ვეკუა, შალვა ოგბაიძე, თამარ ცინცაბაძე

ფრაქციის „თბილისელები“ წევრები: გიორგი მუსხელიშვილი, გიორგი ახვლედიანი, ლია ჯახველაძე, ილია ჭიშკარიანი


ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრები: ირაკლი ნადირაძე, სევდია უგრეხელიძე, მარინა დათუკიშვილი, თემურ გრიგალაშვილი

ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრები: მამუკა ახვლედიანი, თამაზ შოშიაშვილი, დავით ავალიანი

არცერთ ფრაქციაში არ არის გაერთიანებული დამოუკიდებელი წევრი ალექსანდრე ელისაშვილი და გულიკო ზუმბაძე.

2014 წელს თვითმმართველობის არჩევნების შედეგების მიხედვით მანდატების რაოდენობა შემდეგნაირად [გადანაწილდა:](#)


დიაგრამა 1. მანდატების გადანაწილება




თავი 2. ზოგადი სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 104 სხდომა და 96 რიგგარეშე სხდომა, რომელიც მოწვეული იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით. საკრებულოს ბიუროს სხდომა კი 125-ჯერ გაიმართა. საანგარიშო პერიოდში კვორუმის არარსებობის გამო არ ჩაშლილა საკრებულოს სხდომა.


დიაგრამა 2. ჩატარებული საკრებულოს სხდომების რაოდენობა წლების მიხედვით



დიაგრამა 3. რიგგარეშე სხდომების რაოდენობა წლების მიხედვით




დიაგრამა 4. საკრებულოს ბიუროს სხდომების რაოდენობა წლების მიხედვით



კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოს სამართლებრივი აქტებია: ნორმატიული აქტი - **საკრებულოს დადგენილება** და ინდივიდუალური აქტი – **საკრებულოს განკარგულება**. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წინაშე წარდგენილი ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების პროექტების საფუძველზე საკრებულოს მიერ მიღებულია სამართლებრივი აქტები 1964 სამართლებრივი აქტი, აქედან: 422 დადგენილება და 1570 განკარგულება.

დიაგრამა 5. საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა წლების მიხედვით



თბილისის მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს სხდომას დაესწრო 7-ჯერ:

- 2014 წელი - სხდომა № 18
- 2015 წელი - სხდომა № 8, სხდომა № 32
- 2016 წელი - სხდომა № 13, სხდომა № 22, სხდომა № 30
- 2017 წელი - სხდომა № 7

კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე და საკრებულოს რეგლამენტის 47-ე მუხლის თანახმად, საკრებულოს გაწეული მუშაობის შესახებ წარუდგენს ანგარიშს. საკრებულოს ოფიციალურ ვებ გვერდზე არსებული ინფორმაციის თანახმად:

- 2016 წლის 5 ნოემბერს კომისიის თავმჯდომარემ [წარადგინა](#) 2015 წლის 1 იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოს ანგარიში
- 2016 წლის 12 ივლისს კომისიის თავმჯდომარემ [წარადგინა](#) კომისიის 6 თვის საქმიანობის ანგარიში
- 2016 წლის 2 ნოემბერს კომისიის თავმჯდომარემ [წარადგინა](#) 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წინაშე არ ყოფილა წარდგენილი არცერთი პეტიცია.

თავი 3. მნიშვნელოვანი მოვლენები

• საკრებულოს წევრის დაკავება და უფლებამოსილების შეჩერება

2017 წლის 26 აგვისტოს საკრებულოს წევრის ზურაბ ნეფარიძის დაკავება მოხდა ქრთამის აღების ბრალდებით. ბრალდებულის თქმით, სამსახურიდან გათავისუფლების მუქარით ნეფარიძე აიძულებდა ხელფასიდან ყოველთვიურად 400 ლარის დათმობას.³ ზურაბ ნეფარიძე 2014 წლიდან თბილისის საკრებულოს წევრი და ისნის მაჟორიტარი დეპუტატია „ეროვნული ფორუმიდან“. 27 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ზურაბ ნეფარიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით საკრებულომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება ზურაბ ნეფარიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე.

• თევდორე კობახიძის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი

საკრებულოს საქმიანობის პროცესში ხმაურიანი განსჯის საგანი იყო თევდორე კობახიძის მიმართ გაუღებელი ბრალდებები, რომლის საფუძველზეც დღის წესრიგში დადგა იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მიერ თანამდებობის დატოვების საკითხი, თუმცა განხილვას შედეგი არ მოჰყოლია. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თევდორე კობახიძეს 5 თანამშრომელი ზეწოლაში ადანაშაულებდა.⁴ 2017 წლის 20 იანვარს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მხარი არ დაუჭირეს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თედო კობახიძის უფლებამოსილების შეწყვეტას. საკრებულოს 31-მა დეპუტატმა მხარი არ დაუჭირა კობახიძის კომისიის თავმჯდომარეობიდან გათავისუფლების საკითხს, 7-მა დეპუტატმა მხარი დაუჭირა, ხოლო 1-მა თავი შეიკავა.⁵

• ცვლილებები საკრებულოს შემადგენლობაში

საკრებულოს წევრთა შემადგენლობა შეიცვალა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, კერძოდ, საკრებულოს წევრად ცნობილ იქნა შემდეგ პირთა უფლებამოსილება:

³ <http://netgazeti.ge/news/217149/>

⁴ <http://netgazeti.ge/news/164641/>

⁵ <http://netgazeti.ge/news/168071/>

1. 2014 წლის 5 აგვისტოს საკრებულომ [ცნო](#) ადა მარშანის ადგილმონაცვლის **მანუჩარ მანაიძის** უფლებამოსილება
2. 2016 წლის 2 დეკემბერს საკრებულომ [ცნო](#) ირაკლი აბესაძის ადგილმონაცვლის **დავით ავალიანის** უფლებამოსილება
3. 2016 წლის 1 ნოემბერს საკრებულომ [ცნო](#) ნინო გოგუაძის ადგილმონაცვლის **გულია გოცირიძის** უფლებამოსილება
4. 2016 წლის 1 ნოემბერს საკრებულომ [ცნო](#) ირაკლი აბუსერიძის ადგილმონაცვლის **ზურაბ ქადაგიძის** უფლებამოსილება
5. 2016 წლის 1 ნოემბერს საკრებულომ [ცნო](#) ბექა ნაცვლიშვილის ადგილმონაცვლის **ქეთევან მამულაშვილის** უფლებამოსილება
6. 2016 წლის 10 ივნისს საკრებულომ [ცნო](#) კობა კობალაძის ადგილმონაცვლის **ბორია ფირცხელიანის** უფლებამოსილება

არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობის არ მიღების გამო ლევან მხეიძისათვის საკრებულოს წევრის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ საკრებულომ 2015 წლის 28 ივლისს [ცნო](#) ადგილმონაცვლის **მარინა დათუკიშვილის** უფლებამოსილება, ხოლო 2015 წლის 27 ნოემბერს საკრებულომ [ცნო](#) ირაკლი გვილაგას ადგილმონაცვლის **რატი იონათამიშვილის** უფლებამოსილება.

- **დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმაში შეტანილი ცვლილებები და დაპირისპირება საკრებულოში**

2017 წლის 29 სექტემბერს საკრებულომ [განიხილა](#) და მხარი დაუჭირა [ცვლილებებს](#) მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის თანახმად შეიცვალა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა, ახლებურად მოხდა ფუნქციური ზონების ჩამოყალიბება. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე, ხოლო შემდგომ საკრებულოს სხდომაზე.

საკრებულოს უმრავლესობამ პუშკინის სკვერთან, პანორამა თბილისის სასტუმროს მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის ასაშენებლად მიწის ნაკვეთს ფუნქციური ზონის სტატუსი შეუცვალა, ხოლო თაბორის მთაზე 4 700 კვ.მ ფართობის მიწას რეკრეაციული სტატუსი “თაბორი რიზორტის” სასარგებლოდ მოხსნა.⁶

ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ ტერიტორია არაერთხელ გახდა საკრებულოსა და მერიაში დებატებისა და კამათის საგანი. საზოგადოებაში აქტიურად განიხილებოდა ბოტანიკურ ბაღში და მის მიმდებარედ მიწის ნაკვეთების განკარგვის პროცესი. უნდა აღინიშნოს, რომ მერიის გადაწყვეტილება, სასტუმროს აშენების მიზნით ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ, სარეკრეაციო ზონაში 29 ჰექტარის ფართობის მიწის ნაკვეთის პრივატიზაციის შესახებ, არ არის სათანადოდ დასაბუთებული. ხსენებული ნაკვეთის პრივატიზაციის პროცესი, რომელიც მოიცავდა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სახელმწიფო ქონების განკარგვისა და ქალაქგეგმარების კუთხით, ჩატარდა საეჭვოდ მოკლე ვადებში, რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ამ გადაწყვეტილებებს წინ არ უძღოდა საკითხის ჯეროვანი განხილვა. გარდა ამისა, უშუალოდ აუქციონის ჩატარების ალოგიკურად მოკლე ვადები ასევე ბადებს ეჭვს, რომ ქალაქის ხელისუფლება მიზნად არ ისახავდა ტერიტორიის გასხვისებას მაქსიმალური კონკურენციის პირობებში.⁷

⁶ <http://netgazeti.ge/news/223108/>

⁷ ვრცლად იხ. <https://goo.gl/Xd8wqL>

2016 წლის 1 ნოემბერს თბილისის საკრებულომ თაბორის მთის განაშენიანების გეგმის პროექტი უმრავლესობით დაამტკიცა. პროექტის დამტკიცებას პროტესტი მოჰყვა გარემოს დამცველების მხრიდანაც.⁸

- **საკრებულოს წევრობის ნებაყოფილობით შეწყვეტა**

დამოუკიდებელმა წევრმა ალექსანდრე ელისაშვილმა საკრებულოს ვადაზე ადრე დატოვების შესახებ განცხადება გააკეთა, მიზეზად საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაასახელა, რომლის თანახმად თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მხარი დაუჭირა თაბორის მთაზე 4700 კვ.მ ფართობის მიწისთვის რეკრეაციული სტატუსის მოხსნას “თაბორი რიზორტის” სასარგებლოდ.⁹

- **ზვიად ნაზლაიძისათვის ქონების გადაცემის საკითხი**

საზოგადოების აქტიური განხილვის საკითხი გახდა საკრებულოს მიერ 2016 წლის 23 დეკემბრის [განკარგულება](#) საზოგადოებრივი საჭიროებისთვის გადაუდებელი აუცილებლობისას წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პრინციპის დაცვით ზვიად ნაზლაიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების და თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით მისთვის პრივატიზების გზით გადაცემის შესახებ. აღნიშნული დაგდენილება ხმაურის მიზეზი გახდა ვინაიდან ზვიად ნაზლაიძე არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ნატა ნაზლაიძის ძმა და ქონების გადაცემის ფაქტმა გარკვეული ეჭვები გააჩინა.

2017 წლის აღნიშნული დადგენილება თბილისის საკრებულოს ოპოზიციური ფრაქციებისა და დამოკიდებელი დეპუტატის მიერ გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

- **საკანონმდებლო ცვლილებები საკრებულოს უფლებამოსილებაში**

2015 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განხორციელებულმა [ცვლილებებმა](#) გავლენა იქონია თბილისის საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებზე, კერძოდ:

- ცვლილება შევიდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის მარეგულირებელ წესებში და დაემატა, რომ თბილისის **მთავრობაა უფლებამოსილი** საკუთრებაში გადასცეს მოძრავი ქონება და ფინანსური სახსრები თავის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს.
- **საკრებულოს თანხმობის გარეშე** ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მთავრობა კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებას (დებულებას) და იღებს გადაწყვეტილებას მათი ხელმძღვანელის დანიშვნისა და საქმიანობის კონტროლთან დაკავშირებით
- სსიპ-ის ხელმძღვანელის დანიშვნა გათავისუფლებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი **აღარ გულისხმობს საკრებულოს მონაწილეობას** და მთავრობის აქტით მოხდება ხელმძღვანელის დანიშვნა/გათავისუფლება.

⁸ <https://www.radiotavisupleba.ge/a/botanikuri-bagis-ganashenianebis-gegma/28091236.html>

⁹ <https://goo.gl/TdmL6H>

- ცვლილებით **საკრებულო აღარ ამტკიცებს** საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას და პრივატიზაციის გეგმას
- ცვლილებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი აგრეთვე წილები/აქციები სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა **საკრებულოს ნაცვლად მთავრობის გადაწყვეტილებით**

2015 წლის 8 ივლისს განხორციელებულ ცვლილებამდე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება, განხორციელდა 12-ჯერ. ასევე, შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში საკრებულოში წარდგენილ იქნა ერთხელ.

თავი 4. მიღებული მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები

კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულოს სამართლებრივი აქტებია: ნორმატიული აქტი - საკრებულოს დადგენილება და ინდივიდუალური აქტი – საკრებულოს განკარგულება. საკრებულოს უფლებამოსილებაში არსებული საკითხებზე საკრებულო იღებს შესაბამის სამართლებრივ აქტებს. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაზღვრავს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საკრებულოს მონაწილეობის ფორმას. წარმოდგენილია ინფორმაცია საკრებულოს მიერ და მისი თანამონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

4.1 მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემა სესხის აღების შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 68-ე მუხლის შესაბამისად თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს თბილისის მთავრობისთვის სესხის აღებაზე თანხმობის მიცემა. საანგარიშო პერიოდში 2-ჯერ მოხდა თანხმობის მიცემა თბილისი მთავრობისათვის სესხის აღების თაობაზე,¹⁰ კერძოდ:

- 2014 წლის 2 სექტემბერს საკრებულომ [განკარგულებით](#) თანხმობა მისცა თბილისის მთავრობას 2014 წლის ბიუჯეტის შევსების მიზნით **30,024.6 ათასი ლარის** ოდენობის სესხის კომერციული ბანკებიდან აღებაზე.
- 2015 წლის 16 ივნისს საკრებულომ [განკარგულებით](#) თანხმობა მისცა თბილისის მთავრობას საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან **18,000,000.00 ლარის** ოდენობით სესხის აღებაზე.

¹⁰ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაცია საკრებულოს ვებ გვერდზე არ იყო განთავსებული

4.2 მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს კოდექსით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, კერძოდ, კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, **მერი საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის მოძრავი და უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის შესახებ.**

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ქონების ს.ს.ი.პ.-ებსა¹¹ და შპს-ებზე უსასყიდლოდ გადაცემა მოხდა -**32** შემთხვევაში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში¹² ეკლესიისთვის საკრებულოს თანხმობით გადაცემული უძრავი ქონების საერთო ფართობია 183,414.00 კვ. მ. საპრივატიზებო პირობა უშეტეს შემთხვევაში არის ეკლესიის აშენება. აგრეთვე, ასეთ პირობას წარმოადგენს სკვერის მოწყობა და კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობა, გამწვანება და კეთილმოწყობა. კერძოდ:

სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას:

- უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაეცა **28** შემთხვევაში სიმბოლურ ფასად 1 ლარად
- გაცვლის შეთანხმების საფუძველზე **1** შემთხვევაში
- მოძრავი ქონება თხოვების ფორმით გადაეცა **1** შემთხვევაში
- მოძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაეცა **3** შემთხვევაში

2017 წელი:

1. მუხიანში არსებული 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთი სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საპრივატიზებო პირობა: ეკლესიის მშენებლობა ([განკარგულება N305](#))
2. მოსკოვის გამზირზე 1270 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საპრივატიზაციო პირობა: ეკლესიის მშენებლობა ([განკარგულება 249](#))
3. ერთიანობისთვის მეზობლთა ქუჩაზე ეკლესიის მიმდებარედ 304 კვ.მ. და 792 კვ. მ მიწის ნაკვეთი სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საპრივატიზებო პირობა: მითითებული მიწის ნაკვეთების კეთილმოწყობა და გამწვანება ([განკარგულება N248](#))
4. სამშენებლო მასალა, სიმბოლურ ფასად 1 ლარად საპრივატიზებო პირობა: საკუთარი ხარჯებით გაიტანა ტერიტორიიდან ([განკარგულება 347](#))
5. თემქის დასახლებაში 2766 კვ.მ მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საპრივატიზებო პირობა: ეკლესიის აშენება ([განკარგულება N243](#))
6. სამშენებლო მასალა, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საპრივატიზებო პირობა: საკუთარი ხარჯებით ტერიტორიიდან გატანა ([განკარგულება N242](#))

¹¹ გარდა სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა

¹² სხვადასხვა დროს საქართველოს საპატრიარქოს დაფინანსების შესახებ (მათ შორის თბილისის საკრებულოსა და მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები) იხილეთ კვლევაში: საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „მოკლე მიმოხილვა საქართველოს საპატრიარქოს დაფინანსების შესახებ“, 04 ივლისი, 2013, <https://goo.gl/Nw1yjt>

7. ა. ბოჭორიშვილის ქუჩის მიმდებარედ 3185 კვ.მ მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საპრივატიზებო პირობა: ეკლესიის მშენებლობა ([განკარგულება N228](#))
8. ქიქინაძის ქუჩის მიმდებარედ 1154 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საპრივატიზებო პირობა: ტერიტორიაზე კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობა, გამწვანება და კეთილმოწყობა ([განკარგულება 183](#))
9. თემქის დასახლებაში 850 კვ. მ მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საპრივატიზებო პირობა: ეკლესიის მშენებლობა ([განკარგულება 135](#))
10. გურამიშვილის გამზირზე 2081 კვ. მ მიწის ნაკვეთი შენობა ნაგებობებით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საპრივატიზებო პირობა: ეკლესიის მშენებლობა ([განკარგულება 129](#))
11. ხუდადგვის ქუჩის მიმდებარედ 2642 კვ.მ მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საპრივატიზებო პირობა: ეკლესიის მშენებლობა ([განკარგულება 13](#))
12. ოქროყანის დასახლებაში 1545 კვ. მ მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საპრივატიზებო პირობა: მხოლოდ ეკლესიის მშენებლობა ([განკარგულება 3](#))

2016 წელი

1. გარე განათების ბოძები, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საპრივატიზებო პირობა: საკუთარი ხარჯებით მოძრავი ნივთების გატანის უზრუნველყოფა ([განკარგულება 421](#))
2. ქიძმარაულის ქუჩის მიმდებარედ 1156 კვ.მ მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საპრივატიზებო პირობა: მხოლოდ ეკლესიის აშენება, ([განკარგულება 296](#))
3. სანდრო ეულისა და ნაფეტვრების მიმდებარედ 1642 კვ.მ მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საპრივატიზებო პირობა: მხოლოდ ეკლესიის აშენება ([განკარგულება 295](#))
4. წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ 3645 კვ.მ მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საპრივატიზებო პირობა: სკვერის მოწყობა ([განკარგულება 283](#))
5. ისნის რაიონში არსებული 2011 კვ.მ. და 138 591 კვ.მ მიწის ნაკვეთები, სიმბოლურ ფასად 1 ლარად ([განკარგულება 270](#))
6. წულაძის ქუჩაზე 5338 კვ.მ მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, თბილისის მთავრობის 2016 წლის 13 ივლისის #27.07.592 განკარგულების პირობების შესაბამისად, ([განკარგულება 200](#))
7. სარაჯიშვილის გამზირის მიმდებარედ 1385 კვ. მ. მიწის ნაკვეთი და 157კვ. მ. მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა ნაგებობებით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, ([განკარგულება 189](#))
8. ააიპ „წმინდა თომა მოციქულის ტაძარს“ სამშენებლო მასალა სიმბოლურ ფასად, საპრივატიზებო პირობა: საკუთარი ხარჯებით მასალის ტერიტორიიდან გადატანა, ([განკარგულება 175](#))
9. ვაკის რაიონში 1000 კვ. მ. მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საპრივატიზებო პირობა: მხოლოდ ეკლესიის მშენებლობისათვის ([განკარგულება 174](#))

10. გლდანის პირველ მიკრორაიონში 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად, თბილისის მთავრობის 2016 წლის 6 აპრილის 13.09.302 განკარგულების შესაბამისად, ([განკარგულება 128](#))
11. ვაკის რაიონში 3000 კვ. მ მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, თბილისის მთავრობის 2016 წლის 16 მარტის 10.24.229 განკარგულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ([განკარგულება 95](#))
12. თიანეთისა და ტიბაანის ქუჩების მიმდებარედ არსებული 3000 კვ. მ მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საპრივატიზებო პირობა მიწის ნაკვეთის არანაკლებ 8 მეტრი სიგანის მქონე მისასვლელი გზით უზრუნველყოფა ([განკარგულება 65](#))
13. ვარკეთილის 3 მიმდებარედ არსებული 1884 კვ.მ მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, საპრივატიზებო პირობა: ეკლესიის მშენებლობა ([განკარგულება 24](#))
14. კახეთის ჩიხი #15-ში არსებული 244 კვ.მ მიწის ნაკვეთი გაიცვალა ეკლესიის საკუთრებაში არსებულ ისანი-სამგორის რაიონში მდებარე 244 კვ. მ მიწის ნაკვეთში, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო პირობა: მიწის ნაკვეთზე ეკლესიის მიერ ახალი გზის დაპროექტება და აშენება ([განკარგულება გაცვლის შესახებ 10](#))
15. დიღმის მასივში, მაიაკოვსკის სკვერის წინ არსებული 697 კვ.მ მიწის ნაკვეთის პრივატიზება მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის #52.42.1535 განკარგულების დანართით გათვალისწინებული პირობით ([განკარგულება 3](#))

2015 წელი

1. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 19016 კვ. მ მიწის ნაკვეთისა და ისნის რაიონში მდებარე 73 კვ.მ მიწის ნაკვეთები, ეკლესიის საკუთრებაში მყოფი ისნის რაიონში მდებარე 19086 კვ. მ მიწის ნაკვეთში, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, **გაცვლის** ფორმით ([განკარგულება 425](#) უძრავი ქონების გაცვლის შესახებ შეთანხმება)
2. ვარკეთილი 3, IV მკ.რ კორპუსი #417-ის მიმდებარედ არსებული 1566 კვ. მ მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, თბილისის მთავრობის 2015 წლის 13 ოქტომბრის #41.07.1183 განკარგულებით განსაზღვრული პირობის შესაბამისად ([განკარგულება 383](#))

2014 წელი (მოძრავი ქონება)

1. **ორი სატრანსპორტო საშუალების** (32750,00 და 32750,00 ლარის ღირებულების) 5 წლით, **თხოვების** ფორმით გადაცემა ([განკარგულება 53](#))

4.3 ფიზიკური პირის ან კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის მუნიციპალიტეტის ქონების გადაცემის თაობაზე თანხმობა

ადგილობრივი თვითმმართველობის 118-ე პრიმა მუხლის შესაბამისად, თბილისის ქონების პირდაპირი განკარგვის ან კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა თბილისის საკრებულოს თანხმობით.

2014-2017 წლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას 58 შემთხვევაში მიეცა თანხმობა პირდაპირი განკარგვის წესით ან კონკურენტული შერჩევის საფუძველზე ფიზიკური პირის ან კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის მუნიციპალიტეტის ქონების გადაცემის თაობაზე.

4.4 პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების შესახებ თანხმობის მიცემა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, **მერი უფლებამოსილია საკრებულოს თანხმობით გადაწყვიტოს** მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი **პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების საკითხი.**

საანგარიშო პერიოდში თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას 30 შემთხვევაში მიეცა თანხმობა ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების შესახებ.¹³

4.5 სტრატეგიის დოკუმენტების დამტკიცება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად მერის უფლებამოსილებას წარმოადგენს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადების უზრუნველყოფა და **საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა** და განხორციელება. ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში საკრებულომ დაამტკიცა სტრატეგიის სამი დოკუმენტი:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის **გენდერული სტრატეგიის** დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 თებერვლის [დადგენილება](#)
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის **გარემოსდაცვითი სტრატეგიის** დამტკიცების შესახებ” თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 სექტემბრის [დადგენილება](#)
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის **მარკეტინგის სტრატეგიის** დამტკიცების შესახებ” საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის [დადგენილება](#)

¹³ შპს არმლენდერ ასოშიეტსი, პს ,პეპე, შპს ,თბილისის პარკები და შპს ,ჯინი, შპს ალმა, შპს დიენს DNS, შპს ჯეთ როუდი, შპს რიჩემა, შპს ვაკის-პარკი, შპს ოჟიო, შპს ელვა მარკეტი, შპს რანდევუ, ბეთანიაში შპს ბას სტოპი, შპს სადა, ა.(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკი, შპს მომავლის სკოლა, სს თელასი, შპს გლდანი ავტოპარკინგი, შპს ლანცეტი, შპს ბიზნეს ცენტრი ლესელიძეზე და ფიზიკური პირები, დეტალური ინფორმაცია იხ. აქ: https://docs.google.com/document/d/1T3-ofTGr7njKtl_zexmw3t49nkW_9zgAb89BoZywgGA/edit

4.6 მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება არის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, დამტკიცება. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის [დადგენილებით](#) დამტკიცდა „**დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა**“. საანგარიშო პერიოდში ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ განიხილა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების **1087** წინადადება და განაშენიანების რეგულირების გეგმის **413** პროექტი.

4.7 მუნიციპალიტეტის სახელით დადებულ ხელშეკრულებების დამტკიცება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის **მერის წარდგინებით, მუნიციპალიტეტის სახელით დადებული ხელშეკრულების დამტკიცება**. საანგარიშო პერიოდში საკრებულომ 4 შემთხვევაში მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის სახელით დადებულ ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ:

- საკრებულოს 2016 წლის 8 ივლისის [განკარგულებით](#) - „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის „თბილისის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“
- საკრებულოს 2016 წლის 8 ივლისის [განკარგულებით](#) - „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის „თბილისის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით“ გრანტის სახით თანხის გადაცემის ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ
- საკრებულოს 2016 წლის 22 ივლისის [განკარგულებით](#) - „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის თბილისის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით გაფორმებული ქვესასესხო ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ივლისის [განკარგულებით](#) - „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის „თბილისის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით“ გაფორმებული გრანტის სახით თანხის გადაცემის ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“.

4.8 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის განსაზღვრა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენა. საანგარიშო პერიოდში **3-ჯერ** მოხდა აღნიშნული საკითხის განსაზღვრა, კერძოდ:

- „დედაქალაქის ტერიტორიაზე მიწის ნორმატიული ფასის და სასყიდლიანი სარგებლობის საწყისი წლიური ქირის ოდენობის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით
- „დედაქალაქის ტერიტორიაზე მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტს [დადგენილებით](#).
- ამჟამად დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ნორმატიული ფასი განსაზღვრულია „დედაქალაქის ტერიტორიაზე მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 18 მარტის [დადგენილებით](#).¹⁴

4.9 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნება

თბილისის მერი საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; კანონის შესაბამისად, კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში გაწევრების შესახებ; მეწარმე იურიდიული პირის წილის/აქციების შექმნის შესახებ;

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს თანხმობით დაფუძნდა 7 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი:

1. [ა\(ა\)ი.პ](#) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი - თბილისის თანამედროვე ბალეტი“
2. [ა\(ა\)ი.პ](#) „ლილოს მიუსაფართა თავშესაფარი“
3. [ა\(ა\)ი.პ](#) „ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრი“
4. [ა\(ა\)ი.პ](#) „მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“
5. [ა\(ა\)ი.პ](#) კომპლექსური სპორტული ცენტრი “მუხიანი”
6. [ა\(ა\)ი.პ](#) “თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი”
7. [ა\(ა\)ი.პ](#) “თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია “

¹⁴ ზემოთ მითითებულ დოკუმენტებში მინიმალური ნორმატიული ფასი 1 კვ. მ.-ისთვის არის 3 ლარი, ხოლო მაქსიმალური 1198 ლარი

4.10 საჯარო სამართლის იურიდიული პირების დებულებათა დამტკიცება

საკრებულომ დაამტკიცა 6 საჯარო სამართლის იურიდიული პირის დებულება, კერძოდ:

1. [სსიპ](#) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
2. [სსიპ](#) თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი
3. [სსიპ](#) სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი
4. [სსიპ](#) ქონების მართვის სააგენტო
5. [სსიპ](#) ტექნოლოგიური განვითარების ფონდი
6. [სსიპ](#) ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო

საკრებულოს მიერ მიღებულია **9 განკარგულება** კერძო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

4.11 იურიდიული პირების ლიკვიდაცია

საანგარიშო პერიოდში 11 შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თანხმობა მისცა მთავრობას ქვემოთ ჩამოთვლილი სუბიექტების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით:

1. [ა\(ა\)იპ](#) „თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი“
2. [შპს](#) „ლაბორატორია“
3. [ა\(ა\)იპ](#) „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის“
4. [ა\(ა\)იპ](#) „ქ.თბილისის მერიის მ.კეკელიძის სახელობის კალათბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრისა“ და „მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სასახლე“
5. [ა\(ა\)იპ](#) „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოლიმპიური მზადების კომპლექსური სპორტული ცენტრი“
6. [ა\(ა\)იპ](#) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კომპლექსური სპორტული ცენტრი „ნაძალადევის“
7. [ა\(ა\)იპ](#) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კომპლექსური სპორტული ცენტრის „მუხიანი“
8. [ა\(ა\)იპ](#) „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი თბილისი 2015-ის საორგანიზაციო კომიტეტის“
9. [ა\(ა\)იპ](#) „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო“

10. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგიერთი [სუბიექტის](#) ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის თაობაზე კერძოდ შპს მზიური კორტები, შპს გლდანის საცურაო აუზი, შპს თბილისის პორტალი, შპს მთაწმინდის პარკის საბაგირო გზები, შპს მთაწმინდის პარკი, შპს კეკელიძის სახელობის კალათბურთის სასახლე, შპს თბილისის ჩოგბურთი, შპს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი

11. [სსიპ](#) „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“

4.12 ქონების გადასახადისა და მოსაკრებლის შემოღება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 2014 წლის 30 დეკემბერს თბილისის საკრებულომ [შემოიღო](#) ქონების გადასახადი და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა მოსაკრებელი.

4.13 საკრებულოს მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებზე ზედამხედველობის განხორციელება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 132-ე მუხლის თანახმად, სამართლებრივი ზედამხედველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე. სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანო ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ექსპერტიზას და სამართლებრივ დასკვნას უგზავნის აქტის მიმღებ ორგანოს, სადაც უთითებს იმ ნორმებს, რომლებსაც ეწინააღმდეგება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

თბილისის საკრებულოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოდან მიღებულია სამი სამართლებრივი დასკვნა:

- ერთ შემთხვევაში სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოს გაეგზავნა მოტივირებული წერილობითი უარი. რასთან დაკავშირებითაც სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოდან აღარ წარმოდგენილა დამატებითი მოსაზრება.
- მეორე შემთხვევაში გაიგზავნა წერილი ქ. თბილისის საკრებულოს მერთან, ვინაიდან საკითხი ეხებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების აქტს. საკრებულოს მიერ მითითებული ინფორმაციის მიხედვით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“. „პ“ ქვეპუნქტის თანახმად, მერის უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტების შემუშავება და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა.
- მესამე შემთხვევაში მოხდა სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოდან წარმოდგენილი შენიშვნის გათვალისწინება საკრებულოს დადგენილების პროექტში. თუმცა რას შეეხებოდა შენიშვნა საკრებულოს პასუხში არ იყო მითითებული.

4. 14 საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში **თბილისის საკრებულომ** და საკრებულოს წევრმა ხათუნა სამნიძემ, როგორც ფიზიკურმა პირმა დამოუკიდებლად ისარგებლეს საკანონმდებლო წინადადების წარდგენის უფლებით, კერძოდ: 2016 წლის 25 იანვარს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ წარადგენილ იქნა [საკანონმდებლო წინადადება](#) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ხმაურის დასაშვები ნორმების განსაზღვრასა და დადგენილ ნორმებზე მაღალი ხმაურის შემთხვევაში პირებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებას შეეხებოდა. წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება მოიწონა იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა და შესაბამისად 2017 წლის 11 მაისს მოახდინა შესაბამისი კანონის პროექტის ინიცირება, რომელიც მიღებულ იქნა მიმდინარე წლის 28 ივნისს. ხათუნა სამნიძემ თანაავტორობით საქართველოს პარლამენტში ორი წინადადება წარადგინა ფემიციდის ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად აღიარების [შესახებ](#) და ამნისტიის შესახებ კანონის მიღების [თაობაზე](#). აღნიშნული წინადადებების ინიცირება საქართველოს პარლამენტს არ მოუხდენია.

თავი 5. ინფორმაცია საკრებულოს წევრების შესახებ და მათი აქტივობა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე ან ამ წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე.

საკრებულოს წევრთა ასაკი

2017 წლის მდგომარეობით არსებული საკრებულოს წევრთა შემადგენლობის საშუალო ასაკია 49 წელი. ყველაზე ასაკოვანი წევრებია მანუჩარ მანაიძე (ქართული ოცნება-მრეწველები) და სევდია უგრეხელიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) - 68 წელი, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა - ქეთევან მამულაშვილი (ქართული ოცნება - კონსერვატორები) - 25 წელი.

საკრებულოს წევრთა განათლება და სპეციალობა

საკრებულოს წევრთაგან ერთდროულად ორი სპეციალობით განათლება მიღებული აქვს საკრებულოს 17 წევრს, სამი სპეციალობით-4 წევრს, ხოლო 4 სპეციალობით-1 წევრს. ყველაზე მეტი ინჟინერიისა და მშენებლობის მიმართულების წარმომადგენელია.

საკრებულოს წევრის სხდომებში მონაწილეობისას გაცდენის მიზეზები და შედეგები დარეგულირებულია საკრებულოს რეგლამენტით. საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობის მიუღებლობის **საპატიო** მიზეზად¹⁵ ითვლება:

- ავადმყოფობა
- ოჯახური მდგომარეობა
- სამსახურეობრივი მივლინება
- პოლიტიკური მოსაზრების გამო გაცდენა

საკრებულოს რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ასევე განსაზღვრულია, რომ საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება თუკი არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა საკრებულოს მუშაობაში. აღნიშნული საფუძვლით უფლებამოსილება ვადამდე შეწყდა საკრებულოს წევრს - **ლევან მხეიძეს**.

საკრებულოს წევრების სხდომებში მონაწილეობასთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაციის თანახმად კომისიის სხდომებზე წევრების მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. **თუმცა არ არის მითითებული იყო თუ არა საკრებულოს სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები. ასევე, არც საკრებულოს და არც კომისიის სხდომების საპატიო მიზეზით გაცდენის შესახებ ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული.**

საკრებულოს მიერ არ იქნა მოწოდებული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ინფორმაცია საკრებულოს წევრთა აქტივობის კონკრეტული კომპონენტების შესახებ: მათი მხრიდან წარდგენილი სამართლებრივი აქტების რაოდენობის, სიტყვით გამოსვლის რაოდენობებისა და გაცდენების შესახებ, რამაც შეუძლებელი გახადა კვლევის ამ ნაწილში შეფასების გაკეთება.

საკრებულოს ქალი წევრები

საკრებულოს 2017 წლის შემადგენლობაში 50 წევრიდან 13 ქალია: რამინა ბერაძე, თამარ ტალიაშვილი, ია მაკასარაშვილი, გულია გოცირიძე, ხათუნა სამნიძე, გულიკო ზუმბაძე, შორენა ბუხრაშვილი, ქეთევან ჯოხაძე, ქეთევან მამულაშვილი, ლია ჯახველაძე, თამარ ცინცაბაძე, სევდია უგრეხელიძე, მარინა დათუკიშვილი. მათგან 8 მაჟორიტარია, ხოლო 5 პროპორციული სიით არჩეული.

საკრებულოს წევრი ქალებიდან:

- **2 წევრი** არის ფრაქციის თავმჯდომარე: რამინა ბერაძე („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“), ხათუნა სამნიძე (“რესპუბლიკელები”)
- **4 წევრი** კომისიის თავმჯდომარე: **გულიკო ზუმბაძე** (ადამიანის უფლებათა დაცვისა და სასამართლო ინტეგრაციის კომისია), **შორენა ბუხრაშვილი** (გარემოს დაცვის კომისია), **ქეთევან ჯოხაძე** (სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია), **ლია ჯახველაძე** (სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია)

¹⁵ აღნიშნული მიზეზების თაობაზე სხდომამდე ინფორმირებული უნდა იყოს შესაბამისი ფრაქციისა და კომისიის თავმჯდომარე - ფრაქციისა და კომისიის სხდომის გაცდენის შემთხვევაში. საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომის გაცდენის შემთხვევაში ინფორმირებული უნდა იყოს შესაბამისი ფრაქციის თავმჯდომარე, რომელიც ვალდებულია გაცდენის თაობაზე შეატყობინოს საკრებულოს თავმჯდომარეს. აღნიშნულ შემთხვევაში საკრებულოს წევრს საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობის მიუღებლობა ეთვლება საპატიოდ. საკრებულოს ის წევრი, რომელიც არ არის არც ერთ ფრაქციაში გაერთიანებული, აღნიშნულ ინფორმაციას მიაწოდებს საკრებულოს თავმჯდომარეს. საკრებულოს წევრს საკრებულოს სხდომა არასაპატიო მიზეზით გაცდენილად არ ჩაეთვლება, თუ ის პოლიტიკური შეხედულებების გამო უარს აცხადებს საკრებულოს სხდომაზე საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებაზე. აღნიშნულის თაობაზე წერილობითი განცხადება წარედგინება საკრებულოს თავმჯდომარეს ან კეთდება ზეპირი განცხადება რეგისტრაციის დასრულების შემდეგ საკრებულოს სხდომაზე.

თავი 6. კომისიების, საბჭოებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების საქმიანობა

6.1 საკრებულოს კომისიების საქმიანობა

საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, საკრებულო თავისი შეხედულებებისამებრ ქმნის არაუმეტეს 11 კომისიას. საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრულია თითოეული კომისიის უფლებამოსილება.

2014-2017¹⁶ წლებში ჩატარდა საკრებულოს კომისიების 923 სხდომა. კვორუმის არარსებობის გამო საკრებულოს კომისიის არცერთი სხდომა არ ჩაშლილა.

დიაგრამა 6. კომისიების მიერ ჩატარებული სხდომების რაოდენობა¹⁷



¹⁶ 2017 წლის 18 აგვისტოს მდგომარეობით

¹⁷ 2017 წლის 18 აგვისტოს მდგომარეობით

საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე კომისიების მიერ სულ მომზადებულია **2217** დასკვნა. საკრებულოს კომისიებმა **513** სამართლებრივი აქტის პროექტი წარადგინეს.

კომისიების მიერ წარდგენილი და განხილული სამართლებრივი აქტების შესახებ დეტალური ინფორმაცია¹⁸ საკრებულოს არ მოუწოდებია.

საკრებულოს არ მოუწოდებია კონკრეტული ინფორმაცია კომისიების მიერ ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირებისაგან ანგარიშების მოსმენის, მათი სხდომაზე მონაწილის შესახებ. ასევე აღმასრულებელი ორგანოსა და მისი სტრუქტურული ერთეულის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოსახლეობის ინტერესებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით რამდენიმე შეხვედრა გაიმართა მოქალაქეებთან.

საკრებულოს თავმჯდომარე რეგლამენტის 47-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების წარდგინებით საკრებულოს კომისიებში იწვევს ექსპერტებსა და სპეციალისტებს; მათთან დებს და აუქმებს ხელშეკრულებებს. მიღებულ ინფორმაციაში კონკრეტულად არ არის მითითებული, როდის და რა საკითხებთან დაკავშირებით მოხდა ამ პირების მოწვევა მათგან ინფორმაციის/ მოსაზრების მიღების მიზნით, თუმცა აღნიშნულია, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით მათთან ხელშეკრულებები არ დადებულა.

საანგარიშო პერიოდში¹⁹ საკრებულოს კომისიებს **13 071**, ხოლო საკრებულოს ყველა წევრს **54 364** განცხადებით მიმართეს.

¹⁸ განხილული პროექტების რაოდენობა კომისიების მიხედვით, წარდგენილი სამართლებრივი აქტების რაოდენობა კომისიების მიხედვით

¹⁹ 2017 წლის 18 აგვისტოს მდგომარეობით

დიაგრამა 7. კომისიებისადმი მიმართვების რაოდენობა



მიღებული ინფორმაციის თანახმად, 7 კომისიის²⁰ შემთხვევაში ყველა განცხადებაზე მოხდა რეაგირება, ხოლო 4 კომისიის შემთხვევაში- ნაწილობრივ.

6.2 საკრებულოს საბჭოების საქმიანობა

- გენდერული თანასწორობის საბჭო**

2016 წელს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად,²¹ საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილი გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო“. საბჭოს ფუნქციები განსაზღვრულია საკრებულოს რეგლამენტით, რომელიც ითვალისწინებს:

²⁰ ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მუნიციპალიტეტის კომისია, განათლებისა და კულტურის კომისია, „ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია, ეკონომიკური განვითარების და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია, ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისია, სარევიზიო კომისია, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისია

²¹ საკრებულოს რეგლამენტის 31-ე პრიმა მუხლი

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზსა და წინადადებების შემუშავებას;
- გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე წარდგენილი განცხადებების, დოკუმენტაციისა და სხვა ინფორმაციის განხილვას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მათზე რეაგირების მოხდენასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;
- საბჭოს საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადებასა და წელიწადში ერთხელ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენას.

თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო კანონმდებლობით უფლებამოსილია გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლისა და განხილვის დროს მოიწვიოს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები;

2017 წლის 3 თებერვალს შეიქმნა თბილისის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების გენდერული სტრატეგია, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრავს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერულ პოლიტიკას, მის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და განვითარების პრიორიტეტებს. საკრებულოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, საბჭო ახორციელებს მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზს. შესწავლისას გენდერული უთანასწორობა არ დაფიქსირებულა, **თუმცა საბჭოს არ მიუთითებია, რომელი აქტები შეისწავლა.** საანგარიშო პერიოდში საბჭოსთვის არ მიუმართავთ გენდერული თანასწორობის დარღვევის ფაქტზე.

რეგლამენტის თანახმად, გენდერული თანასწორობის საბჭო წელიწადში ერთხელ თავისი საქმიანობის შესახებ ამაზადებს ანგარიშს და წარუდგენს საკრებულოს. აღნიშნული ანგარიში საბჭომ 2017 წლის დეკემბრის დასაწყისამდე უნდა წარადგინოს.

• **13-14 ივნისს დაზარალებულ პირთა შესახებ მიღებულ დადგენილებაში ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი საბჭო**

საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის [განკარგულებით](#) შეიქმნა **სათათბირო ორგანო** - საბჭო, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში **2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის**“ დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის **დადგენილებაში ცვლილების განხორციელების საკითხთან** დაკავშირებით შესაბამისი წინადადების/რეკომენდაციების, დასკვნების შემუშავების მიზნით. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა 7 წევრით: გიორგი ტყემალაძე, რამინა ბერაძე, ჯაბა სამუშია, მამუკა ახვლედიანი, სევდია უგრეხელიძე, დავით უთმელიძე, ნუგზარ მალაღურაძე.

დადგენილებითვე განისაზღვრა საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი. კერძოდ, გადაწყვეტილებები მიიღება საბჭოს სხდომაზე, რომელსაც საბჭო წარუდგენს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის 5 ივლისის [დადგენილებაში](#) საკრებულომ 6-ჯერ შეიტანა ცვლილება:

1. 2017 წლის 6 ივნისს ([დადგენილება](#))
2. 2016 წლის 23 დეკემბერს ([დადგენილება](#))
3. 2016 წლის 10 ივნისს ([დადგენილება](#))
4. 2015 წლის 13 მაისს ([დადგენილება](#))
5. 2015 წლის 18 დეკემბერს ([დადგენილება](#))
6. 2015 წლის 12 აგვისტოს ([დადგენილება](#))

საკრებულომ 2015 წლის 29 დეკემბერს განსაზღვრა 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად განადგურებული და დაზიანებული სატრანსპორტო საშუალებისათვის დაზარალებულ პირთათვის ფულადი დახმარების გაცემის წესი.

6.3 დროებითი სამუშაო ჯგუფები

საკრებულო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით, შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფები. დროებითი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელსა და წევრებს სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, საკრებულო ირჩევს თავისი შემადგენლობიდან. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა შეიძლება გაგრძელდეს თითო თვით, თუმცა უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

რეგლამენტით განსაზღვრულია ასევე დროებითი სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი. **საკრებულოში საანგარიშო პერიოდში დროებითი სამუშაო ჯგუფი არ შექმნილა.**

თავი 7. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი

თბილისის საკრებულოს მხრიდან უფლებამოსილებების განხორციელების ანალიზისას მნიშვნელოვანია შეფასდეს თბილისის მთავრობის საქმიანობის კონტროლი და მასი ეფექტურობა. თბილისის საკრებულოს მხრიდან კონტროლის განხორციელება სუსტია და ზოგიერთ შემთხვევაში არ ხდება კონტროლის კონკრეტული მექანიზმების გამოყენება. მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე რთული გასამიჯნია საკრებულოს წევრების მიერ გაგზავნილი მიმართვები/კითხვები **თავისი შინაარსით და კანონით დადგენილი წესით იყო თუ არა კონტროლის განხორციელება**, ასევე **პრობლემურია**²² **მთავრობის ხელმძღვანელის ანგარიშვალდებულებისა და სხდომებზე მისვლის საკითხი.**

7.1 ანგარიშების მოსმენა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება.²³ მერი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.²⁴

თბილისის საკრებულომ ორჯერ მოისმინა თბილისის მთავრობის ხელმძღვანელის - თბილისის მუნიციპალიტეტის **მერის ანგარიშში მთავრობის მიერ განწეული საქმიანობის შესახებ**; თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განწეული საქმიანობის **ანგარიშის რიგგარეშედ წარმოდგენის** შესახებ მოთხოვნა საკრებულოს წევრების მიერ დაყენებულ იქნა

²² დავით ნარმანია: „ვერ ეღირსებიან, თხზაბათსაც არ მივალ საკრებულოში, რადგან ამ შოუს არ უნდა მოჰყვეს გაგრძელება“ <http://1tv.ge/ge/news/view/151692.html>

²³ კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“

²⁴ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48-ე მუხლის მეორე პუნქტი

ერთხელ. კერძოდ, 2017 წლის 21 თებერვალს თბილისის საკრებულოს 15 წევრმა თბილისის მერს დავით ნარმანიას თბილისის საკრებულოსათვის 2015 წლის 13-14 ივნისს სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა ზიანის ანაზღაურების შესახებ რიგგარეშე ანგარიშის წარდგენა მოსთხოვა, ზვიად ნაზლაიძისათვის ქონების ჩამორთმევის სანაცვლოდ გაცემული კომპენსაციის საკითხებზე. **თბილისის მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს სხდომაზე არ გამოცხადდა და რიგგარეშე ანგარიში არ წარმოუდგენია.**

7.2 თანხმობის მიცემა თანამდებობაზე დანიშვნაზე

თანამდებობაზე პირის დანიშვნისა და არჩევის პროცესში საკრებულოს მონაწილეობის ფორმა განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით. კერძოდ:

- საკრებულო თანხმობას იძლევა თბილისის მთავრობის წევრის თანამდებობაზე დანიშვნაზე (მუხლი 68, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი)
- თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს თბილისის საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს თბილისის მერი (მუხლი 77, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი)
- თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) და მოადგილეების თანამდებობებზე დანიშვნაზე თანხმობას თბილისის საკრებულო გამოხატავს საკრებულოს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მხარდაჭერით (76-ე მუხლი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი)
- რაიონის გამგებელს თბილისის საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს თბილისის მერი (მუხლი 80, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი)

საკრებულოს ვებ გვერდზე არსებული ინფორმაციის თანახმად საანგარიშო პერიოდში საკრებულომ გამგებლად დანიშვნაზე [14-ჯერ](#) მისცა თანხმობა, კერძოდ:

1. 2016 წლის 23 დეკემბერს ნაძალადევის რაიონის გამგებლად ირაკლი ხელაძის დანიშვნის [თაობაზე](#).
2. 2016 წლის 24 მაისს სამგორის რაიონის გამგებლად გიორგი ბაგრატიონის დანიშვნის [თაობაზე](#).
3. 2016 წლის 13 მაისს გლდანის რაიონის გამგებლად დიმიტრი ორმოცაძის დანიშვნის [თაობაზე](#).
4. 2015 წლის 20 ნოემბერს ვაკის რაიონის გამგებლად ნოდარ ტურძელაძის დანიშვნის [თაობაზე](#).
5. 2015 წლის 17 მარტს ვაკის რაიონის გამგებლად ლაშა აბაშიძის დანიშვნის [თაობაზე](#).
6. 2014 წლის 5 აგვისტოს სამგორის რაიონის გამგებლად მამუკა ჩოქურის დანიშვნის [თაობაზე](#).
7. 2014 წლის 5 აგვისტოს საბურთალოს რაიონის გამგებლად ბექა მიქაუტაძის დანიშვნის [თაობაზე](#).
8. 2014 წლის 5 აგვისტოს ზაზა გაბუნias გლდანის რაიონის გამგებლად დანიშვნის [თაობაზე](#).

9. 2014 წლის 5 აგვისტოს გელა არჩვაძის მთაწმინდის რაიონის გამგებლად დანიშვნის [თაობაზე](#).
10. 2014 წლის 5 აგვისტოს გიორგი კოპალეიშვილის კრწანისის რაიონის გამგებლად დანიშვნის [თაობაზე](#).
11. 2014 წლის 5 აგვისტოს ვახტანგ ქიზიყურაშვილის ისნის რაიონის გამგებლად დანიშვნის [თაობაზე](#).
12. 2014 წლის 5 აგვისტოს გივი ჭიჭინაძის ვაკის რაიონის გამგებლად დანიშვნის [თაობაზე](#).
13. 2014 წლის 5 აგვისტოს განკარგულება ირმა ზავრადაშვილის დიდუბის რაიონის გამგებლად დანიშვნის [თაობაზე](#).
14. 2014 წლის 5 აგვისტოს ბესიკ ქარცივაძის გლდანის რაიონის გამგებლად დანიშვნის [თაობაზე](#).

საკრებულოს ვებ გვერდზე არსებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში საკრებულომ [35-ჯერ](#) მერიის სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელის, ხოლო [11](#) შემთხვევაში მერიის მოადგილეების დანიშვნაზე მისცა თანხმობა.

7.3 სხდომებზე დაბარება

საკრებულოს რეგლამენტის 27-ე მუხლის თანახმად, საკრებულოს მიერ **არჩეული, დანიშნული ან შეთანხმებული** თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო **მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია**, დაესწროს კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს კომისიამ. ამავე კანონის 42-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, თბილისის **მთავრობის წევრი, საკრებულოს მიერ არჩეული და საკრებულოს თანხმობით** დანიშნული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო **მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დაესწროს ფრაქციის სხდომას**, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

სხდომაზე მიწვევის განმაპირობებელი ფაქტორები იყო გახმაურებულ საქმეებთან, ინფრასტრუქტურულ პროექტებთან, პერიოდულ ანგარიშებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოსმენა.

საკრებულოს ფრაქციებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ფრაქცია „**ერთიანი ნაციონალური მოძრაობა**“ ოფიციალურად შექმნის დღიდან (2017 წლის იანვარი) 2-ჯერ ისარგებლა სხდომაზე დაბარების უფლებამოსილებით:

1. ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და საკრებულოს სხვა ოპოზიციური ფრაქციების 2017 წლის 21 თებერვლის გაერთიანებულ სხდომაზე მიწვეული იყვნენ თბილისის მერის მოადგილეები: **ირაკლი ლექვინაძე და ნატო ქიტიაშვილი**, იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი **სოფია გიგანი**, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი **კარლო ლაფერაძე**. განსახილველი საკითხი იყო „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას ზვიად ნაზლაიძის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების ჩამორთმევა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზვიად ნაზლაიძისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით გადაცემა და დაკავშირებული საკითხები. **არც ერთი მოწვეული თანამდებობის პირი სხდომაზე არ გამოცხადებულა.**

2. ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 2017 წლის 3 აგვისტოს სხდომაზე მოწვეული იყვნენ თბილისის მერის მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილი და თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ირაკლი ხუცურაული. განსახილველ საკითხს წარმოადგენდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები. **არც ერთი მოწვეული თანამდებობის პირი სხდომაზე არ გამოცხადებულა.**

2014-2017 წლის სექტემბრის პერიოდში ფრაქციამ **„რესპუბლიკელები“** ფრაქციის **14** სხდომაზე 18 პირი (თბილისის მთავრობის წევრები და თანამდებობის პირები) მიიწვია, აქედან ფრაქციის **1 სხდომაზე მიწვეული 3 პირი (სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი კარლო ლაფერაძე, თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძე, თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ნათო ქიტიაშვილი, თბილისი მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სოფია გიგანი) არ გამოცხადდა.** კერძოდ:

1. 2014 წლის 11 დეკემბერს **საბურთალოს რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე** გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერებთან დაკავშირებულ საკითხზე
2. 2015 წლის 25 მაისს თბილისის **მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი გურგენიძე და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ გენერალური დირექტორი ალექსანდრე ჯაფარიძე** სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებით (ერთიანი სატრანსპორტო სისტემის გენერალური გეგმის შემუშავება, თბილისის სატრანსპორტო სისტემაში არსებულ პრობლემები, თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტის მოძველებული ავტოპარკი, ავტოპარკინგის პოლიტიკა, სამარშრუტო სქემების დახვეწა, ველობილიკისა და ფეხით მოსიარულეთა ბილიკების კეთილმოწყობა, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელების მოწესრიგება)
3. 2015 წლის 27 მაისს თბილისის მუნიციპალიტეტის **მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძე, თბილისის ეკოლოგიისა და გამწვანების სამოქალაქო სამსახურის უფროსი ბიძინა გიორგობიანი** ქალაქში არსებულ ეკოლოგიურ პრობლემებსა და ჰაერში დაბინძურების ხარისხის მონიტორინგის საკითხებთან დაკავშირებით
4. 2015 წლის 28 სექტემბერს **საბურთალოს რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე**, განუული საქმიანობის შესახებ ანგარიშთან, საბურთალოს რაიონის გამგეობის ინიციატივის - გეოლოგიური კვლევების ჩატარების განახლებისა და მოსახლეობის წყალმომარაგებისა და გაზმომარაგების საკითხებთან დაკავშირებით.
5. 2015 წლის 9 ოქტომბერს თბილისი **მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ლევან თევზაია, სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა** თბილისის ბიუჯეტის ფორმირების პროცესზე ინფორმაციის მიღების, სოციალური კომუნალური ვაუჩერების, ბიუჯეტის რიგი ქვეპროგრამების დაფინანსების გაზრდის მიზნებისა და რაიონული ბიუჯეტების განაწილების პროპორციულობის, თანხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით.
6. 2015 წლის 17 დეკემბერს თბილისის მუნიციპალიტეტის **მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი გივი კუბლაშვილი** დედაქალაქში განხორციელებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის მიღების, ხიდების დამაგრების და სხვა ინფრასტრუქტურული საკითხებისა და პროექტებთან დაკავშირებით.
7. 2015 წლის 21 დეკემბერს **მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი დიმიტრი მოსულიშვილი** თბილისის ცენტრალურ რაიონებში დედაქალაქის სივრცითი-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების კუთხით არსებული პრობლემების განხილვისა და მშენებლობებთან დაკავშირებით

8. 2016 წლის 25 იანვარს თბილისის **მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ნინო სულხანიშვილი** დედაქალაქში გარემოსდაცვითი მიმართულებით განხორციელებულ და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციასთან, შიდაკვარტალური სკვერებისა და პარკები მოვლა-პატრონობის გამგეობისათვის გადაცემის შესახებ და დეველოპერულ პროექტებთან დაკავშირებით
9. 2016 წლის 25 მარტს **თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი თემურ თორდინავა**, მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი ბადრი გიორგაძე სააგენტოსა და აუდიტის სამსახურის მიერ ბაღებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგების შესახებ ინფორმაციასთან, ბაღის დირექტორების განთავისუფლების მიზნებთან და საბავშვო ბაღებში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით
10. 2016 წლის 28 ნოემბერს **ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ დირექტორი გიორგი ბაიდარაშვილი** ფონდის მიზნების ამოცანებისა და სამუშაოების თბილისის ისტორიულ ნაწილის რეაბილიტაციაზე, ფონდი საშტატო პოლიტიკის ხარვეზების, ფონდის ფუნქციისათვის შეუსაბამო სამუშაოების განხორციელების შესახებ.
11. 2017 წლის 21 თებერვალს **სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი კარლო ლაფერაძე**, თბილისის მუნიციპალიტეტის **მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძე**, თბილისის მუნიციპალიტეტის **მერის მოადგილე ნატო ქიტიაშვილი**, თბილისის მუნიციპალიტეტის **მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სოფია გიგანი** „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას ზვიად ნაზლაიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით გადაცემის საკითხთან დაკავშირებით. **აღნიშნულ სხდომაზე მოწვეული 4 პირი არ გამოცხადდა.**
12. 2017 წლის 6 მარტს თბილისის **მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფრო ბადრი გიორგაძე** ამავე წლის 21 თებერვალს საკრებულოს ფრაქციათა გაერთიანებულ სხდომაზე ქ. თბილისის მერიის თანამდებობის პირთა და თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის გამოუცხადებლობისა და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას ზვიად ნაზლაიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზ. ნაზლაიძისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით გადაცემის შესახებ, ასევე 2017 წლის 15 თებერვლისა და 1 მარტის თბილისის მთავრობის სხდომაზე საკრებულოს ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატების დაუშვებლობის ფაქტზე რეაგირებასთან დაკავშირებით.
13. 2017 წლის 5 ივნისს სსიპ ქ. თბილისის **არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად ნიკლაური**, თბილისის განვითარების გენერალური გეგმის მიღებამდე დაჩქარებული წესით ზონალური ცვლილებებისა და უკანონო მშენებლობების შესახებ საკითხსა და არქიტექტურის სამსახურის საკადრო და სტრუქტურული ხარვეზების შესახებ.

ფრაქცია „**ევროპული საქართველო თბილისი**“ ახალი შემადგენლობითი შეიქმნა 2017 წლის იანვარში. ფრაქციამ შექმნიდან 18 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში 2-ჯერ ისარგებლა სხდომაზე ანგარიშვალდებული პირების დაბარებით:

1. ფრაქციის „ევროპული საქართველო თბილისი“ და საკრებულოს სხვა ოპოზიციური ფრაქციების 2017 წლის 21 თებერვლის გაერთიანებულ სხდომაზე მიწვეული იყვნენ თბილისის მერის მოადგილეები: **ირაკლი ლექვინაძე** და **ნატო ქიტიაშვილი**, იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი **სოფია გიგანი**, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი **კარლო ლაფერაძე**. განსახილველი საკითხი იყო „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის

გადაუდებელი აუცილებლობისას ზვიად ნაზლაიძის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების ჩამორთმევა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზვიად ნაზლაიძისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით გადაცემა და დაკავშირებული საკითხები. არც ერთი მოწვეული თანამდებობის პირი სხდომაზე არ გამოცხადებულა.

2. 2017 წლის 29 მაისს მიიწვიეს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი **კარლო ლაფერაძე**. განსახილველი საკითხი შეეხებოდა ოთარ ფარცხალაძისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთის შემთხვევას. კარლო ლაფერაძე დაესწრო სხდომას და ფრაქციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად გასცა პასუხები ფრაქციის წევრების კითხვებს.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიერ ფრაქციის სხდომებზე 21-ჯერ იყო მოწვეული დედაქალაქის მთავრობის წევრები მათი კურატორობის შესაბამისად განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

1. 2014 წლის 6 ნოემბერს ფრაქციის სხდომაზე „უფასო სასადილოების“ პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში სხდომას ესწრებოდა **მერის მოადგილე** ალუდა გოგლიჩიძე, მერიის **ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი** გელა ჩივიაშვილი, ასევე 10 **რაიონის გამგებელი**
2. 2014 წლის 10 დეკემბრის ფრაქციის სხდომას დაესწრო მერიის **ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი** და **10 რაიონის გამგებელი**, განსახილველი საკითხი იყო პროგრამა „ცხელი სადილის“ ფარგლებში თბილისის რაიონების მიერ გამოცხადებული ტენდერები და მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის განხილვა.
3. 2015 წლის 3 თებერვალს ფრაქციის სხდომას ქალაქში არსებული პრობლემების მოგვარებისა და სამომავლო გეგმების განსახილველად **მერი დავით ნარმანია** და **მისი მოადგილე გიორგი სოლომონია** დაესწრნენ
4. 2015 წლის 27 თებერვალს ფრაქციის სხდომაზე **ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა** წარადგინა მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 6 თვის საქმიანობის ანგარიში.
5. 2015 წლის 10 მარტს ფრაქციის სხდომას ესწრებოდა **მერის მოადგილე გიორგი სოლომონია**, **კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი** ავთანდილ სუდაძე, **შპს „თბილსერვის ჯგუფის“** -ის უფროსი გიორგი ბაგრატიონი, **„სინათლის ქალაქის“** ხელმძღვანელი ვასილ ხორავა. განსახილველი საკითხი უკავშირდებოდა არქიტექტურის საქალაქო სამსახურის საქმიანობის 6 თვის ანგარიშის მოსმენასა და ფრაქციის ხედვის წარდგენას არქიტექტურის საქალაქო სამსახურის არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.
6. 2015 წლის 16 მარტს ფრაქციის სხდომაზე **არქიტექტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა** ნინო ლოლობერიძემ წარადგინა 6 თვის საქმიანობის ანგარიში.
7. 2015 წლის 19 მარტს **ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა** მამუკა ჭაყელმა წარადგინა სამსახურის 6 თვის საქმიანობის ანგარიში.
8. 2015 წლის 23 მარტის სხდომას ესწრებოდა მერიის **ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი** გელა ჩივიაშვილი, **მერის მოადგილე** ნინა ხატისკაცი. სხდომაზე მოისმინეს ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის საქმიანობის 6 თვის ანგარიში და ფრაქციის ხედვა ზემოხსენებულ სამსახურში არსებული მდგომარეობის შესახებ

9. 2015 წლის 3 აპრილს მოისმინეს **ნაძალადევის რაიონის გამგებლის** ზაზა გაბუნias, **გლდანის რაიონის გამგებლის** ბესიკ ქარცივაძის, **კრწანისის რაიონის გამგებლის** გიორგი კოპალეიშვილის, **ისნის რაიონის გამგებლის** ვახტანგ ქიზიყურაშვილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია 2015 წლის პირველი კვარტალში ბიუჯეტის შესრულების შესახებ
10. 2015 წლის 6 აპრილს სხდომაზე მოისმინეს **სამგორის რაიონის გამგებლის** მამუკა ჩოქურის, **საბურთალოს რაიონის გამგებლის** ბექა მიქაუტაძის, **ვაკის რაიონის გამგებლის** გიორგი კოპალეიშვილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია 2015 წლის პირველ კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
11. 2015 წლის 10 აპრილს მოისმინეს **ჩუღურეთის რაიონის გამგებლის** ზურაბ ჩიკვილაძის, **დიდუბის რაიონის გამგებლის** ირმა ზავრადაშვილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია 2015 წლის პირველ კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.
12. 2015 წლის 2 მაისს სხდომაზე მოისმინეს **საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უფროსი** თემურ თორდინავას წარმოდგენილი ინფორმაცია სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის 6 თვის ანგარიშის შესახებ
13. 2015 წლის 4 ივნისს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე დისკუსიას დაესწრნენ **ჩუღურეთის რაიონის გამგებელი** ზურაბ ჩიკვილაძე და **დიდუბის რაიონის გამგებელი** ირმა ზავრადაშვილი
14. 2015 წლის 15 სექტემბერს სხდომას დაესწრო მერიის **სოციალური სამსახურის უფროსი** გელა ჩივიაშვილი, განსახილველი საკითხები იყო სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებისა და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შედეგად სოციალურად დაუცველთათვის „სეთ თოფ ბოქსების“ გადაცემის წესი.
15. 2015 წლის 20 ოქტომბერს ა(ა)იპ **თბილისის განვითარების ფონდის თავმჯდომარე** დაესწრო სხდომას ფონდის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის შესახებ. ამავე დღეს რაიონის გამგებლის 9 თვის საქმიანობის ანალიზთან დაკავშირებით სხდომას დაესწრო **მერის მოადგილე** გიორგი სოლომონია, საფინანსო საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ლევან თევზაია
16. 2016 წლის 29 ნოემბერს „სითი პარკთან“ დაკავშირებულ განხილვას დაესწრო **მერის მოადგილე** ირაკლი ლექვინაძე, **ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი** მამუკა მუმლაძე, **ქონების მართვის საქალაქო სამსახურის უფროსი** კარლო ლაფერაძე, **საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი** გაიოზ თალაკვაძე, **იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი** სოფიო გიგანი, **აუდიტის სამსახურის უფროსი** ბადრი გიორგაძე
17. 2016 წლის 12 სექტემბრის სხდომაზე განიხილეს **კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის** გივი კუბლაშვილის ინფორმაცია სამსახურის სამიქნობის ანალიზთან დაკავშირებით
18. 2016 წლის 20 ივნისს სხდომაზე განიხილეს მერის **სატრანსპორტო საქალაქო სამსახურის** 2016 წლის 6 თვის საქმიანობის ანგარიში , რომლის სამსახურის უფროსმა გიორგი გურგენიძემ წარადგინა
19. 2016 წლის 10 მაისს მოისმინეს ანგარიში **თბილისის განვითარების ფონდის** საქმიანობის შესახებ, რომელიც ფონდის **თავმჯდომარემ** გიორგი ბაიდარაშვილმა წარადგინა

20. 2016 წლის 19 აპრილს მერის **კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა** გივი კუბლაშვილმა წარადგინა საქმიანობის ანგარიში, სხდომას ასევე ესწრებოდა მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ტექნიკურ-ეკონომიკური განყოფილების უფროსი ირაკლი დარახველიძე
21. 2016 წლის 8 თებერვლის სხდომაზე მოისმინეს **კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის** გივი კუბლაშვილის ინფორმაცია სამსახურის 2015 წლის საქმიანობის ანალიზის, 2016 წელს სამუშაოების დაგეგმვისა შესყიდვების პროცესთან დაკავშირებით

ფრაქციის „**ქართული ოცნება - კონსერვატორები**“ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სხდომებზე დაბარების 2 კონკრეტული შემთხვევა იქნა მითითებული:

- 2016 წლის 20 ივლისს ფრაქციის სხდომაზე (გაერთიანებული სხდომა) მოწვეულნი იყვნენ **მერის მოადგილე** ირაკლი ლეჟინაძე, **ტრანსპორტის საქალაქო სასამხურის უფროსი** გიორგი გურგენიძე, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის თანაშემწე თეიმურაზ თოფურია. სხდომაზე მოისმინეს მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ანგარიში 2016 წლის 6 თვის განულები მუშაობის შესახებ.
- 2016 წლის 29 ნოემბერს ფრაქციის სხდომაზე (გაერთიანებული სხდომა) მოწვეულნი იყვნენ **მერის მოადგილე** ირაკლი ლეჟინაძე, მერიის **ქონების მართვის საქალაქო სამსახურის უფროსი** კარლო ლაფერაძე, მერიის **საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი** გაიომ თალაკვაძე, მერიის **იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი** სოფიო გიგანი, მერიის **აუდიტის სამსახურის უფროსი** ბადრი გიორგაძე. სხდომაზე განიხილეს ინფორმაცია „სი თი პარკთან“ პარკირებასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში ფრაქციის „ეროვნული ფორუმის“ მიერ სხდომებზე მთავრობის წევრი, საკრებულოს მიერ არჩეული და საკრებულოს თანხმობით დანიშნული თანამდებობის პირის მიწვევა **არ მომხდარა.**²⁵

7.4 კითხვისა და შეკითხვის უფლებამოსილების გამოყენება

საკრებულოს წევრს, ფრაქციას აქვთ უფლება მიმართონ კითხვით/შეკითხვით კანონით გათვალისწინებულ პირს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც თავისი არსით გულისხმობს აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლს. კერძოდ, საკრებულოს რეგლამენტის 42-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ფრაქციას უფლება აქვს **შეკითხვით** მიმართოს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებს და ქ. თბილისის მთავრობის ცალკეულ წევრებს, რომლებიც ვალდებულნი არიან კანონით დადგენილი წესით უპასუხონ შეკითხვას. ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-14 მუხლის თანახმად საკრებულოს წევრს უფლება აქვს: **კითხვით** მიმართოს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მერს/გამგებელს, სხვა თანამდებობის პირს და მიიღოს პასუხი, რომლებიც ვალდებულნი არიან ერთი კვირის ვადაში უპასუხონ საკრებულოს წევრის შეკითხვას. კითხვის ავტორთან შეთანხმებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 დღით.

საკრებულოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს მიმართა საკრებულოს დეპუტატების უმრავლესობამ. სულ დაფიქსირდა 1075 მიმართვა. აქედან: მერს, მერიას, მერის მოადგილეს, ადმინისტრაციას - 96; საქალაქო სამსახურებს - 312; შპს-სა და სსიპ-ებს 67. გამგეობებს 344, ფონდებს 26 სააგენტოებს 99. საგანმანათლებლო დაწესებულებებს 68, ააიპ ჩემი ადვოკატი 2 არქივს - 3, ბიბლიოთეკას 40, თეატრსა და მუზეუმს - 18. **თუმცა მითითებულ პასუხში არ ჩანს აღნიშნული მიმართვები წარმოადგენს კონტროლის განხორციელების მიზნით დასმულ კითხვებს, თუ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში გამოყენებულია კითხვის/მიმართვის შესაძლებლობა.**

²⁵ საკრებულოს სხვა ფრაქციების მიერ ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული

7.5 ბიუჯეტის კონტროლი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენის, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესები განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით. საკრებულო საჭაროდ განიხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

თბილისის ბიუჯეტის პროექტი განსახილველად ეგზავნება ყველა კომისიასა და ყველა ფრაქციას. ისინი ამზადებენ შესაბამის დასკვნებს, რომლებიც ბიუჯეტის პროექტის წარდგენიდან არაუგვიანეს 20 ნოემბრისა ეგზავნება ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, რომელიც მათ თავის დასკვნასთან და წინადადებებთან (შენიშვნებთან) ერთად უგზავნის საკრებულოს თავმჯდომარეს არა უგვიანეს 22 ნოემბრისა. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო არაუგვიანეს 25 ნოემბრისა ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მერს. ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს არაუგვიანეს 10 დეკემბრისა მერი წარუდგენს საკრებულოს.

საკრებულოს მიერ განხილვისას ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შეიძლება შეტანილი იქნეს მხოლოდ მერთან შეთანხმებით. საკრებულოს სხდომას თბილისის ბიუჯეტის პროექტს წარუდგენს: თბილისის მერი; თბილისის მერის მოადგილე; თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მოწოდებული ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ინფორმაციის საფუძველზე. საკრებულო ყოველი წლის 1 მაისამდე ამტკიცებს წინა წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

საკრებულოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად საანგარიშო პერიოდში თბილისის საკრებულომ:

- 2014 წლის 7 მარტის [გადაწყვეტილებით](#) დაამტკიცა „ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გადაწყვეტილების პროექტი
- 2014 წლის 19 დეკემბრის [დადგენილებით](#) დაამტკიცა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი
- 2015 წლის 26 დეკემბრის [დადგენილებით](#) დაამტკიცა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი
- 2016 წლის 16 დეკემბრის [დადგენილებით](#) დაამტკიცა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი

დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებები საანგარიშო პერიოდში განმავლობაში სულ 21-ჯერ განხორციელდა, კერძოდ: დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა:

- 2014 წლის ბიუჯეტში ცვლილება განხორციელდა 4-ჯერ
- 2015 წლის ბიუჯეტში ცვლილება განხორციელდა 6-ჯერ
- 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილება განხორციელდა 6-ჯერ
- 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილება განხორციელდა 5-ჯერ²⁶

²⁶ 2017 წლის 18 აგვისტოს მდგომარეობით

2017 წლის ბიუჯეტში [ცვლილებების](#) შეტანის შესახებ ბოლოს იმსჯელეს 15 აგვისტოს საკრებულოს სხდომაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოდან მიღებული სამი დასკვნიდან ერთი შეეხებოდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების აქტს, რომელზეც საკრებულომ წერილი გააგზავნა მუნიციპალიტეტის მერთან.

თბილისის 2017 წლის ბიუჯეტის თანახმად შემოსავლები 754 236.2 ათასი ლარის ოდენობით, გადასახადები 260 000,0 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.²⁷

7.6 მიღებულ გადაწყვეტილებათა კონტროლი

რეგლამენტის 25-ე მუხლის თანახმად, კომისიები თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებენ საკრებულოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენენ საკრებულოს. **საკრებულოდან მიღებულ ინფორმაციაში კონკრეტულად არ არის მითითებული, თუ რა ღონისძიებები განხორციელდა კომისიების მეშვეობით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე კონტროლის მიზნით.**

თავი 8. საკრებულოს თანამდებობის პირთა კავშირი ბინზესთან, შეუთავსებელი საქმიანობა

საკრებულოს საქმიანობის შესწავლისას მნიშვნელოვანია საკრებულოს წევრთა ბინზესთან კავშირის დადგენა, არადეკლარირებული ქონებისა და შეუთავსებელი საქმიანობის შემთხვევების მონიტორინგი. ამ მიმართულებით შევისწავლეთ საკრებულოს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციები²⁸ და საჯარო რეესტრის ვებ გვერდზე არსებული საჯარო ინფორმაცია.²⁹

კანონმდებლობის მოთხოვნა და პასუხისმგებლობა

საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის თანახმად, აღნიშნული კანონის მიზნებისათვის თანამდებობის პირში იგულისხმება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანამდებობის პირები, რომლებიც არიან: საკრებულოს თავმჯდომარე; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე; საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე. კანონის შესაბამისად

²⁷ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3484619>

²⁸ ბოლო პერიოდის 2016-2017 წლებში შევსებული თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციები, ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: www.declaration.gov.ge; კვლევა არ მოიცავს თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შევსების შემდეგ დარეგისტრირებული წილების საკუთრებას, დირექტორობისა და წილის საკუთრების შეწყვეტის შემთხვევებს.

²⁹ არადეკლარირებულ კომპანიებს შორის გვხვდება ისეთი კომპანიებიც, რომელთა შესახებ მონაცემები სამეწარმეო რეესტრში რამდენიმე წლის მანძილზე არ განახლებულა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ ისინი აღარ ფუნქციონირებს. თუმცა, რადგან ასეთი კომპანიები ოფიციალურად არსებობს, ეს პარლამენტის წევრს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, რომ შეიტანოს ქონებრივ დეკლარაციაში აღნიშნულ კომპანიებში წილების ფლობა ან/და გავიდეს კომპანიების მმართველობიდან

პირი ვალდებულია თანამდებობაზე განწესებიდან ორი თვის ვადაში წარადგინოს საჯარო სამსახურის ბიუროში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. ამასთანავე მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის დადგენილების შესაბამისად განსაზღვრულია იმ თანამდებობის პირთა რეესტრი, რომელთათვისაც საგაღმართლო თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციის შევსება, აღნიშნული დადგენილების შესაბამისად დეკლარაციის შევსების ვალდებულება აქვთ:

- **საკრებულოს თავმჯდომარეს;**
- **თავმჯდომარის მოადგილეს;**
- **საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეებს.**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები წესრიგდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის თანახმად:

- საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე სანარმში.
- იგი ვალდებულია მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითსამსახურის გავლის ვადით სხვას გადასცეს სამართავად მის საკუთრებაში არსებული სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის სანარმოს კაპიტალის წილი (აქციათა პაკეტი).
- საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოების წევრი.
- მას ასევე არ აქვს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება. **მას მხოლოდ აქციებისა და წილის ფლობა შეუძლია.**

ამასთანავე, საკრებულოს რეგლამენტის 24-ე, მე-40 და 48-ე მუხლების თანახმად, საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს, ფრაქციისა და საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს უფლება არა აქვთ, ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება.**

თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი არღვევს კოდექსით განსაზღვრულ თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით ამოწმებს/გამოითხოვს ინფორმაციას თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დასადაგენად. თუ დადასტურდა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი არღვევს თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია ამზადებს დასკვნას და წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ძალაშია შესაბამისი ვადის (6 თვის) გასვლის/თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში სრული და სწორი მონაცემების შეტანის და დეკლარაციის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგს ახორციელებს ბიურო. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის

დეკლარაცია უარყოფითად ფასდება დეკლარაციაში არასრული და არასწორი მონაცემების, აგრეთვე, სპეციალურ კანონმდებლობასთან შეუსაბამო მონაცემის არსებობის გამოვლენის შემთხვევაში. დეკლარაციაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში თანამდებობის პირი ჯარიმდება 1000 ლარით.³⁰ გარდა ამისა, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში არასრული ან არასწორი მონაცემის განზრახ შეტანის შემთხვევაში დანაშაულის ნიშნების არსებობისას ბიურო ვალდებულია, შესაბამისი დეკლარაცია და წარმოების მასალები შემდგომი რეაგირებისათვის სათანადო სამართალდამცავ ორგანოს გადაუგზავნოს.

საკრებულოს წევრი არის თანამდებობის პირი, რომელსაც ევალება ქონებრივი დეკლარაციის შევსება. საკრებულოს 24 წევრიდან **10** თანამდებობის პირს აქვს კავშირი ბიზნესთან, რომელთაგან:

- 3 წარმოადგენს ფრაქციას „ქართული ოცნება - მრეწველები“ (გიორგი ტყემალაძე, ვლადიმერ ძნელაძე, ლევან დარახველიძე)
- 3 ფრაქციას „თბილისელები“ (გიორგი ახვლედიანი, გიორგი მუსხელიშვილი, ლია ჯახველაძე)
- 2 „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის“ (ნუგზარ მალაღურაძე, თევდორე კობახიძე)
- 1 ფრაქციას „დედაქალაქი“ (ზაზა ვეკუა)
- 1 დამოუკიდებელი წევრი (ფრაქციის გარეშე, გულიკო ზუმბაძე)

საკრებულოს 3 წევრი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბიზნესის რეესტრის ჩანაწერების თანახმად ირიცხება სამეწარმეო იურიდიული პირის დირექტორად:

- **გიორგი ტყემალაძე** („ქართული ოცნება - მრეწველები“) შპს „მასტერფაიბრ - ჯორჯია“, შპს ვეტპრეპარატი³¹
- **ლევან დარახველიძე** („ქართული ოცნება - მრეწველები“) შპს. „აიდილი“
- **ლია ჯახველაძე** („თბილისელები“) შპს „I.L Comp“

ზემოთხსენებული სამი პირიდან ერთი - ლია ჯახველაძე დირექტორის სტატუსის შესახებ უთითებს თანამდებობის პირის დეკლარაციაში.

საკრებულოს **5** თანამდებობის პირის შემთხვევაში **არ არის დეკლარირებული** წილების საკუთრება:

- **გიორგი ტყემალაძე** („ქართული ოცნება - მრეწველები“) - შპს „ტე ჯგუფი“, შპს „მასტერფაიბრ“
- **გიორგი ახვლედიანი** („თბილისელები“) - შპს „ჯ-კონსტრაქშენ“
- **გიორგი მუსხელიშვილი** („თბილისელები“) - შპს დაგო 07, შპს გობეგი, შპს გმ მოტორსი, შპს რეალ ესთეით ქომფანი
- **ლია ჯახველაძე** („თბილისელები“) - გარდა დეკლარაციაში მითითებული დირექტორობისა სუბიექტში შპს I.L Comp, იგი არის ამავდროულად კომპანიის მენეჯერი

³⁰ საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მე-20 მუხლი

³¹ დაწყებულია ლიკვიდაციის პროცესი

- **გულიკო ზუმბაძე** - არ არის დეკლარირებული მენილად ყოფნა სუბიექტში შპს ეკვა ტური

საკრებულოს 2 თანამდებობის პირის შემთხვევაში კი არასრულად არის დეკლარირებული წილის საკუთრება:

- **ვლადიმერ ძნელაძე** („ქართული ოცნება-მრეწველები“) - გარდა დეკლარაციაში მითითებული მენილეობისა სუბიექტში შპს „რაჭული ლორი“, არის ასევე მენილე სუბიექტებში : შპს “შატრო ველი”, შპს “ოკრიბა”
- **ლევან დარახველიძე** („ქართული ოცნება - მრეწველები“) - გარდა დეკლარაციაში მითითებული მენილეობისა სუბიექტში შპს. გოლბი, არის ასევე მენილე შემდეგ სუბიექტებში: შპს “კაპირა”, შპს პაპილონი, შპს აგრო გრუპ ჯორჯია.

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა

კვლევის ფარგლებში მოგაწვდით ინფორმაციას საკრებულოს წევრებთან დაკავშირებული კომპანიების სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის შემთხვევებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს **არ წარმოადგენს კანონთან შეუსაბამო საქმიანობას**, მაგრამ ამ ინფორმაციაზე დაკვირვება საინტერესო იქნება საზოგადოებისათვის. საკრებულოს წევრად ყოფნის პერიოდებიდან საკრებულოს ერთი თანამდებობის პირთან დაკავშირებული კომპანიის მონაწილეობა ფიქსირდება სახელმწიფო შესყიდვებში, კერძოდ:

- **ლევან დარახველიძე** („ქართული ოცნება - მრეწველები“) **შპს გოლბი/მენილე** - საკრებულოს წევრად ყოფნის პერიოდში დაკავშირებულმა კომპანიამ 7 ტენდერში მიიღო მონაწილეობა, საიდანაც: 1 არ შედგა, 5 წააგო, ხოლო 1 მოიგო. მოგებული ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა 3,260.00 ლარი. ამავე კომპანიამ 10 გამართივებულ შესყიდვაში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა. მოგებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებაა 658,531.00 ლარი. ყველაზე მაღალი ღირებულების 513,798.00 ლარის ხელშეკრულება გაფორმდა ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან ავეჯის მიწოდების შესახებ 2015 წლის 16 თებერვალს.

საკრებულოს 4 წევრის ოჯახის წევრს 5 შემთხვევაში აქვს კავშირი ბიზნესთან, რომელთაგან საკრებულოს 2 წევრის შემთხვევაში არის მითითება თანამდებობის პირის ქონებრივ დეკლარაციაში:

- ქეთევან ახვლედიანი (**გიორგი ახვლედიანის მეუღლე**) არის შპს-ს „BMG Consalting“ დამფუძნებელი
- რუსუდან ბექაური (**ნუგზარ მაღალურაძის მეუღლე**) არის შპს-ს „ჯორჯიან ლიფტ სერვისი“ და შპს-ს „თბილქალაქლიფტი“-ს მენილე
- ლაშა მაღალურაძე (**ნუგზარ მაღალურაძის შვილი**) არის შპს-ს „მ. გრუპი“ მენილე

ხოლო საკრებულოს 2 წევრი არ უთითებს მათ ოჯახის წევრების ბიზნესთან კავშირის შესახებ:

- მაია მაისურაძე (**ვლადიმერ ძნელაძის მეუღლე**) არის შპს-ს გალა ჯგუფი“ მენილე
- ირმა დავითაძე (**ავთანდილ დავითაძის მეუღლე**) არის შპს-ს „აგორა“ მენილე და დირექტორი

გიორგი ალბეგაშვილის მეუღლეს ნინო ჟვანიას აქვს ინდივიდუალური მენარმის სტატუსი, რის შესახებაც თანამდებობის პირის დეკლარაციაში არ არის მითითებული.

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა

1. მეუღლის **ნუგზარ მაღალურაძის** საკრებულოს წევრად ყოფნის განმავლობაში რუსუდან ბექაურთან დაკავშირებულმა კომპანიამ **შპს „ჯორჯიან ლიფტსერვისი“** 18 ტენდერში მიიღო მონაწილეობა, აქედან 14 შემთხვევაში გაიმარჯვა, ხოლო 4 შემთხვევაში წააგო. ყველაზე მაღალი 37,439.00 ლარის ღირებულების ხელშეკრულება 2016 წლის 19 დეკემბერს გაფორმდა, რომელიც გულისხმობდა მთავრობის ადმინისტრაციისათვის შენობის მოწყობილობების შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებას. ამავე კომპანიამ მითითებულ პერიოდში 11 გამარტივებულ შესყიდვაში გაიმარჯვა, მოგებული ხელშეკრულებების ღირებულებაა 3252.32 ლარი. ყველაზე მაღალი- 1,347.32 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გაფორმდა საავტომობილო გზების დეპარტამენტთან 2016 წლის 31 მაისს.

ცხრილი 1. საკრებულოს წევრების კავშირი ბიზნესთან

სახელი გვარი	თანამდებობა	კავშირი სამეწარმეო საქმიანობასთან დეკლარაციის მიხედვით	სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავალი დეკლარაციის მიხედვით	კომენტარი სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით	თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაცია
გიორგი ტყემალაძე (ქართული ოცნება - მრენველები)	საკრებულოს თავმჯდრომარის პირველი მოადგილე			დეკლარაციაში არ აქვს მითითებული: 205204568191/შპს ტე ჯგუფი /მენილე 172668 /შპს მასტერფაიბრ/ მენილე 205172668/შპს მასტერფაიბრ - ჯორჯია/ დირექტორი 206030383/შპს ვეტპრეპარატი/ დირექტორი (დანყებულია ლიკვიდაცია)	https://goo.gl/YCbf61
გიორგი ახვლედიანი (თბილისელები)	საკრებულოს თავმჯდრომარის მოადგილე			დეკლარაციაში არ აქვს მითითებული: 404872134/შპს ჯ-კონსტრაქშენ/ მენილე	https://goo.gl/83M6eF
ნუგზარი მალალურაძე (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს- თვის)	კომისიის თავმჯდომარე	შ.პ.ს მ.გრუპი, მენილე ბარნოვის 23 საიდენტიფიკაციო კოდი - 404411695	0 ლარი		https://goo.gl/h6Ha5g
თევდორე კობახიძე (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს- თვის)	კომისიის თავმჯდომარე	შპს „დამოუკიდებელი საარბიტრაჟო სასამართლო“. საიდენტიფიკაციო კოდი -205267913 შპს „კობახიძის იურიდიული ჯგუფი“ საიდენტიფიკაციო კოდი - 404962698	0 ლარი		https://goo.gl/ikaYZr
ვლადიმერ ძნელაძე (ქართული ოცნება- მრენველები)	ფრაქციის თავმჯდომარე	შპს რაჭული ლორი - პარტნიორი. საიდენტიფიკაციო კოდი -422935382	0 ლარი	არ აქვს მითითებული : შპს. "შატრო ველი" - მენილე. საიდენტიფიკაციო კოდი - 422990204 შპს. "ოკრიბა" - მენილე. საიდენტიფიკაციო კოდი - 419620654	https://goo.gl/WcAjSh

სახელი გვარი	თანამდებობა	კავშირი სამეწარმეო საქმიანობასთან დეკლარაციის მიხედვით	სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავალი დეკლარაციის მიხედვით	კომენტარი სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით	თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაცია
გულიკო ზუმბაძე	კომისიის თავმჯდომარე			არ აქვს მითითებული მენილეა სუბიექტში: შპს ეკვა ტური	
ლევან დარასველიძე (ქართული ოცნება - მრენველები)	კომისიის თავმჯდომარე	შპს. გოლბი - დამფუძნებელი/ პარტნიორი. საიდენტიფიკაციო კოდი - 205040338	შპს. გოლბი - 258459.76 ლარი შპს. "გოლბი" - 3756.69 ლარი	არ აქვს მითითებული: შპს. "აიდილი"- დირექტორი. საიდენტიფიკაციო კოდი - 205221801 ; შპს. "კაპირა" - მენილე. საიდენტიფიკაციო კოდი -222941761 შპს პაპილონი 405182797 /მენილე შპს აგრო გრუპ ჯორჯია 405104293 მენილე	https://goo.gl/Jz4ftj
გიორგი მუსხელიშვილი (თბილისელები)	ფრაქციის თავმჯდომარე			დეკლარაციაში არ უთითებს შემდეგ ინფორმაციას: (205217905) შპს დაგო 07 მენილე (202355897) შპს გობეგი მენილე (254406557) შპს გმ მოდტორსი მენილე (404488229) შპს რეალ ესთეით ქომფანი მენილე	
ლია ჯახველაძე (თბილისელები)	კომისიის თავმჯდომარე	შპს I.L Comp - დირექტორი	0 ლარი	გარდა დირექტორობისა არის შპს I.L Comp - მენილე 208213155	https://goo.gl/S6DSxL
ზაზა ვეკუა (დედაქალაქი)	ფრაქციის თავმჯდომარე	შპს ევროპა / საქართველო - მენილე. საიდენტიფიკაციო კოდი - 211325083	36109,00 ლარი		https://goo.gl/EVqdxZ

ცხრილი 2. საკრებულოს წევრთა ოჯახის წევრების კავშირი ბიზნესთან

თანამდებობის პირი	კავშირი	სამეწარმეო საქმიანობა დეკლარაციის მიხედვით	დეკლარაციის მიხედვით სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული შემოსავალი	კომენტარი სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით	დეკლარაციები
ნინო ჟვანია	გიორგი ალიბეგაშვილის მეუღლე			არ არის მითითებული ინდ. მეწარმის სტატუსის შესახებ (მიმართა საჯარო რეესტრს გაუქმების შესახებ, წარმოება შეწყვეტილია)	https://goo.gl/BB4xTS
ქეთევან ახვლედიანი	გიორგი ახვლედიანის მეუღლე	BMG consalting, - დამფუძნებელი; საიდენტიფიკაციო კოდი - 406063307	10000.00 GE		https://goo.gl/K3gGGB
რუსუდან ბეჟაური	ნუგზარ მაღალურაძის მეუღლე	შპს. ჯორჯიან ლიფტ სერვისი, მენილე; საიდენტიფიკაციო კოდი - 204438046; შპს. თბილქალაქ-ლიფტი, ენილე; საიდენტიფიკაციო კოდი - 204574068	0 ლარი		
ლაშა მაღალურაძე	ნუგზარ მაღალურაძის შვილი	შ.პ.ს მ.გრუპი, საქართველო, თბილისი, ბარნოვის 23 - საიდენტიფიკაციო კოდი - 404411695	0 ლარი		https://goo.gl/AMB1TD
მაია მაისურაძე	ვლადიმერ ძნელაძის მეუღლე			შპს გალა ჯგუფი - არ არის მითითებული - საიდენტიფიკაციო კოდი - 205259049	https://goo.gl/Eagfwj
ირმა დავითაძე	ავთანდილ დავითაძის მეუღლე			არ არის დეკლარირებული: შპს გორა - მენილე / დირექტორი - 405081682	https://goo.gl/KLaAhj

პრობლემები და რეკომენდაციები

თბილისის საკრებულო კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუნქციების, უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების განხორციელების პროცესში **მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას**, რომელთან ერთადაც გამოიკვეთა საკრებულოს საქმიანობასთან დაკავშირებული საჭარო ინფორმაციის გამჭვირვალობის დაბალი ხარისხი.

ინფორმაციის ღიაობისა და გამჭვირვალობისათვის მნიშვნელოვანია, რომ თბილისის **საკრებულომ დაიწყო ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივების გაზიარება**. მე-6 მოწვევის საკრებულოს მხრიდან საჭიროა აქტიური და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა შემდეგი მიმართულებებით:

1. სამართლებრივი აქტების მიღების პროცესი

- საკრებულოს მიერ სამართლებრივი აქტების მიღების პროცესში მნიშვნელოვანია გაიზარდოს **ცვლილებების სათანადოდ დასაბუთების სტანდარტი და დაინტერესებული პირების და დარგის სპეციალისტების ჩართულობა**.
- მნიშვნელოვანია, რომ სამართლებრივ აქტებში განსახორციელებელ საკითხებზე, რომელზეც ასევე არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი იქმნებოდეს დროებითი სამუშაო ჯგუფები. ამ პროცესში აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის, დარგის სპეციალისტების ჩართულობა.

2. კონტროლის განხორციელება

- საკრებულო ეფექტურად უნდა იყენებდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ კონტროლის მექანიზმებს: კითხვა/შეკითხვის, სხდომებზე მოწვევის, მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლს.
- მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლის მექანიზმები უფლებამოსილი სუბიექტების მიერ აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული.
- საკრებულოში უნდა კონტროლდებოდეს **ზედამხედველობის განხორციელების მიზნით** დასმული კითხვა/შეკითხვების **პროცედურული წესების შესრულება** და დარღვევის არსებობის შემთხვევაში ხდებოდეს რეაგირება, მათ შორის, ფრაქციების მიერ დაბარებული ანგარიშვალდებული პირების გამოუცხადებლობის შემთხვევებზე.

3. ანგარიშვალდებულება

- საკრებულოს წევრები მაღალი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ სხდომებში მონაწილეობის საკითხს. მნიშვნელოვანია **ცვლილებების განხორციელება საკრებულოს რეგლამენტში საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევების შემცირების მიმართულებით** (ოჯახური მდგომარეობა)
- საკრებულოს წევრებმა **სწორად უნდა შეავსონ ქონებრივი დეკლარაციები**, ასახონ საკუთარი და ოჯახის წევრების კომპანიებში კუთვნილი წილები და კანონით დადგენილი წესით დატოვონ კომპანიების მმართველი პოზიციები.

4. გამჭვირვალობა

- გამჭვირვალობის სტანდარტის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია, რომ **ცვლილებები განხორციელდეს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხაში**
- კვლევის განხორციელებისას საკმაოდ პრობლემური აღმოჩნდა საკრებულოს საქმიანობის შესახებ კონკრეტული ინფორმაციების მიღება (წარდგენილი სამართლებრივი აქტების, სიტყვით გამოსვლის რაოდენობების, გაცდენების შესახებ). აღსანიშნავია, რომ რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით საკრებულომ მიუთითა ვებ გვერდზე არსებულ ინფორმაციაზე, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, მათ საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება აქვთ. მნიშვნელოვანია, რომ **საკრებულოს მხრიდან მოხდეს ზუსტი და სრული ინფორმაციის გაცემა**, რათა საკრებულოს საქმიანობა და ცალკეული სუბიექტების აქტივობისა და განუვლი სამუშაოს შესახებ ინფორმაცია საზოგადოებისათვის იყოს გამჭვირვალე და ღია. საკრებულოს ვებ გვერდზე უნდა გამოქვეყნდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:
 - სამართლებრივი აქტების თავდაპირველი ვერსია ინიციატორის/ავტორის მითითებით, განმარტებითი ბარათები, სხდომებზე გამოთქმული შენიშვნების ამსახველი დოკუმენტი
 - კონტროლის განხორციელების მიზნით დასმული კითხვები/შეკითხვები
 - საკრებულოს წევრთა სხდომებში მონაწილეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ინდივიდუალურად წევრთა მიერ სხდომების საპატიო და არასაპატიო მიზეზით გაცდენის შესახებ
 - საკრებულოს წევრთა მიერ განუვლი წარმომადგენლობით ხარჯების შესახებ ინფორმაცია
 - წინა მოწვევის საკრებულოს შესახებ ინფორმაცია
 - მოქმედი საბჭოების შესახებ ცალკე განთავსდეს აქტივობების შესახებ ინფორმაცია
 - საკრებულოს კომისიების მიერ განუვლი საქმიანობის ანგარიშები და სხდომის ოქმები

5. საზოგადოების ჩართულობა

- კომისიებისა და საკრებულოს ყველა სხდომების ტრანსლირება უნდა ხორციელდებოდეს და იყოს სხდომების ჩანაწერების გადახვევის შესაძლებლობა.
- ჩატარებული სხდომების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია დროულად უნდა განთავსდეს ვებ გვერდზე
- საკრებულოს ოფიციალური ვებ გვერდი უფრო მეტად ინფორმაციული უნდა იყოს და შეიცავდეს კონკრეტული ინფორმაციას წარმომადგენლობითი ორგანოს წევრების საქმიანობის შესახებ, რომლის ფარგლებშიც ადვილად იქნება შესაძლებელი ურთერთდაკავშირებული ინფორმაციის ნახვა

